# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

„THETHRI GHIORGHI" Organe des Patriotes Géorgiens

№ 106 ივლისი 1939 წ. პარიზი — Juillet, 1939 Paris. № 106

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავარი მიზეზები რუსის არმიის სისუსტისა

რუსის არმიის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა. ევროპიელი სოციალისტები და დემოკრატები მას ძლიერ ფაქტორად სთვლიან. პატრიოტები კი მის სისუსტეს აღნიშნავენ. წითელი არმიის უძლურობის დასასაბუთებლად მე, აქ, არ შევეხები იმ მხარეებს, რომელიც ევროპის და ქართულმა მხედრულმა ლიტერატურამ საკმაოდ განმარტა: კადრის განადგურება; რუსეთის პოლიტ.-სოციალური გახრწნა; ტრანსპორტის დეზორგანიზაცია და სხვ.

მე მსურს მკითხველს მიუთითო იმ ძირითად ნაკლზედ რუსის არმიისა, რომელიც მომავალ ომში მისი ბედის გადამწყვეტ როლს ითამაშებს; ეს ნაკლი ორგვარია: გონებრივი და სულიერი.

1). უდავოა, რომ რუსეთის დღევანდელი არმია აღჭურვილია მოდერნული ტექნიკით. წითელი არმიის მადიდებელნი მის ძალას უმთავრესად ამ ფაქტით ასაბუთებენ. ჩვენი აზრით მისი სისუსტის კვანძი სწორედ აქ იმყოფება.

რათა არმიამ შესძლოს მოდერნული ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენება, აუცილებელია ერის ცივილიზაცია ჯარის შეიარაღების დონეზე იდგეს. ე.ი. უნდა არსებობდეს განსაზღვრული ჰარმონია ერის განვითარებისა და მისი ჯარის შეიარაღების შორის. წინაალმდეგ შემთხვევაში ყოველი მნიშვნელოვანი ომი სახელმწიფოს დამარცხებით დამთავრდება. თუ დისჰარმონია დიდია, დამარცხება კატასტროფად იქცევა. რუსეთში სწორედ უკანასკნელ მოვლენას ვხედავთ. წით. არმიის ტექნიკური საშუალებანი წარმოშობილია ევროპა - ამერიკის ცივილიზაციის მიერ და არა ნაყოფი რუსის ცოდნისა და გონებისა. ჯარის ამგვარი შეიარაღება საჭიროებს ერის მაღალ გონებრივ განვითარებას და დიდ ტექნიკურ ორგანიზაციას: მთელ არმიას განათლებულ ინჟინერთა; გამოცდილ ტექნიკოსთა ყოველ დარგში ამ მეცნიერებისა; სპეციალისტ მუშებს; მოდერნული ქარხნებით, შესაკეთებელი სახელოსნოებით და კარგი გზებით მოდებულ მთელ ტერიტორიას. ე.ი. ცივილიზაციის მაღალ საფეხურს. ხოლო, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, რუსის არმიის დღევანდელი ტექნიკა ნაყოფია ევროპის ბრწყინვალე ცივილიზაციისა. მაშინ როდესაც რუსეთის გონებრივი დონე და მისი ტექნიკური საშუალებანი ან სავსებით პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფებიან, ან ევროპის ცივილიზაციის მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენენ. ვინ არ უწყის, რომ ჯუღაშვილის სამყო - საბატონოში. თუ არა მთავარ ცენტრებში, უბრალო ტრაქტორის შეკეთებასაც კი ვერ ახერხებენ ხოლმე. ოცი წლის განმავლობაში პრიმიტიულ ადამიანს კულტუროსან კაცად ვერ აქცევს ვერც ერთი წყობილება და მეტადრე მარქსისტული სახელმწიფო, რომელიც სწორედ პრიმიტივიზმით ხასიათდება. რუსი და, მაშასადამე, რუსის ჯარის კაციც დარჩა იმავე ბარბაროსად, რომელს იგი წარმოადგენდა იმპერატორების დროს და რომლის ერთად ერთი მამოძრავებელი ფაქტორი მისი მატერიალური მოთხოვნილებაა. ამიტომ მოდერნული იარაღის ტარება, მშვიდობიანობის დროს, როგორც ყოველ ზანგს, მასაც შეუძლია. მის გამოყენებას კი, ომის პროცესში, ამ იარაღით გამარჯვებას კულტუროსანი სახელმწიფოს წინაალმდეგ ვერ შესძლებს. როგორც ვერ შესძლებს რუსეთი წითელ არმიის იარაღის შევსებას, ომიანობის დროს, და ამ იარაღისათვის საჭირო და საკმარისი მასალის მიწოდებას თავისი პრიმიტიული ტექნიკით და დაბალი ცივილიზაციით. ხოლო ამ ნაკლის შევსებას ვერც ერთი მისი მოკავშირე ვერ შესძლებს.

2). ომის ბედის გადაწყვეტაში მთავარ როლს სულიერი ფაქტორი თამაშობს. იდეალს მოკლებული არმია წარმოადგენს უსულო სხეულს. თანამედროვე ცივილიზაციაში კულტუროსანი ჯარის მთავარ იდეალს წარმოადგენს ეროვნული იდეა: შეგნება ჯარის კაცისა, რომ იგი იბრძვის სამშობლოსათვის. მაგრამ ეროვნულად შეგნებული არმია წარმოიშობა მხოლოდ დიდი კულტურის წიაღში, დიდი ცივილიზაციის ნიადაგზედ. რუსის ხალხი კი ჯერ კიდევ კულტურის მდაბალ საფეხურზედა სდგას და ისეთი მაღალი იდეალი, როგორიც ეროვნულია, მისთვის სავსებით მიუწვდომელია. მაშ რა იდეალისათვის იბრძოლებს რუსის ჯარი? რა შთაბერავს მას სულს? რა განუმტკიცებს, მას მის რუსულ ცნობილ სუსტ ენერგიას და დუნე ხასიათს? იბრძოლებს იგი მარქსის დოგმებისათვის? არა და ვერა. რათგან მარქსიზმი იდეალად შესაძლებელია ვინმე გონებრივად და სულიერად გაკოტრებულმა ინტელიგენტმა დაისახოს, ხოლო არა ერმა, არა არმიამ. მართალია: რუსის ხალხი და არმიაც 1917 წელს გაჰყვა მარქსიზმს და წითელი დროშის ქვეშ იბძოლა. მაგრამ იგი იდეალად არც ერთს და არც მეორეს არ დაუსახავს, არამედ ერთმაც და მეორემაც მარქსიზმი რუსული კრიმინალური ინსტიქტის ' დასაკმაყოფილებლად გამოიყენეს. ხოლო თუ მარქსიზმის სახელით იბრძოლა რუსის ხალხმა და არმიამ, ყოველივე შემთხვევაში არა სამშობლოს მტრის წინაალმდეგ. პირიქით: მარქსიზმის სახელით მან ლაჩრულად დაჰყარა იარაღი, ქვეყნის მტრის წინაშე დაიჩოქა და მოკავშირეებს შავი ღალატით უღალატა! წითელი დროშის სახელით იგი შეებრძოლა თანამემამულეებს; საკუთარი ოფიცრობა ამოჟლიტა; უსუსურნი გააუპატიურა; პატარა და სუსტ ერებს მონობის უღელი დაადგა და სისხლის ზღვაში ჩაახრჩო. არც რუსეთის ჯარითგან და ხალხითგან, არც მარქსიზმითგან უკეთესი მოსალოდნელი არ იყო.

თუ რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეროვნული შეგნება არსებობს, ყოველივე შემთხვევაში არა ეთნოგრაფიულ რუსეთში, არამედ და მხოლოდ რუსის მიერ დამონებულ ერებში. ხოლო ეს ეროვნული შეგნება წარმოადგენს რუსის ცენტრითგან ლტოლვილივ ძალებს და არა რუსის არმიის სულიერი განმტკიცების ფაქტორს. დამონებულ ერთა მთელი ენერგია, ეროვნულად შეგნებული ძალა მიმართული იქნება სწორედ რუსის არმიის დასამარცხებლად. იგი შეებრძოლება ომში გახვეულ რუსეთს და მის არმიას და არა გააძლიერებს მას.

დიახ, რუსის არმიის სისუსტე უმთავრესად მდგომარეობს მისი და მისი ქვეყნის გონებრივ დაქვეითებაში და მის სულიერ არარაობაში. ეს კი გახლავთ ისეთი სენი, რომელს ვერ გაჰკურნავს ვერც ძლიერი მოკავშირე და ვერც რუსეთისადმი მილიარდებით მიცემული სესხი.

**ღენერალი ლეო კერესელიძე**

## ქართულ ეროვნულ ძალთა გაერთიანებისათვის

ამ ბოლო დროს ხშირად გვსმენია საყვედური იმის გამო, რომ ჩვენ არ მივიღეთ მონაწილეობა ემიგრაციაში მყოფ პოლიტიკურ პარტიათა და ჯგუფთა გაერთიანების ცდაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, თ. გ. უკომპრომისო პოზიციის ირგვლივ ბევრი ლაპარაკი შეიქმნა. ჩვენი გადაწყვეტილება ბევრს არ მოეწონა, ზოგმა იგი ცუდათ გაიგო და ზოგმა კი პირდაპირ გაერთიანების მოწინაალმდეგედ ჩაგვთვალა.

ყოველგვარი გაუგებრობა რომ მოისპოს და უსაფუძვლო საყვედურს მომავალში ადგილი არ ჰქონდეს, ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ გავაცნოთ მკითხველს თ. გ.-ის შეხედულება ზემოაღნიშნულ საკითხზე:

1. თ. გ.-ის იდეალია გაერთიანება სწორედ ეროვნულ ძალთა, მოსპობა პარტიათა, ერის ორგანიზმად ქცევა, ერთი ნებისყოფისა და ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ, მისი გარდაქცევა შეგნებულად მომქმედ საზოგადოებრივ პიროვნებად, რომელიც მოსპობს თავის წიაღში ყოველ წინაალმდეგობას მის შემადგენელ ნაწილთა შორის.

2. თ. გ-ის მიზანია ყველა ნამდვილ მამულიშვილთა ფაშისტური იდეოლოგიის მატარებელ ერთ ქართულ დარაზმულობაში გაერთიანება აქ, ემიგრაციაში, და გადატანა საქართველოში მისი მსოფლიოსხედვისა, იქ ყველა მრთელ ეროვნულ ძალთა შემოკრება ახალი დიდი ეროვნული იდეის ირგვლივ და ბოლოს ერის ცხოვრების გარდაქმნა და განახლება ფაშისტური იდეალის განხორციელებით.

3. ქართულ პოლიტიკურ პარტიათა უმეტესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ საკმარისია სხვა და სხვა პარტიათა და ჯგუფთა შეთანხმება მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიზნით და ამით მიაღწევს ემიგრაცია ეროვნულ ძალთა გაერთიანების მიზანსაც, თუ კი წინასწარი პირობა ასეთი გაერთიანებისა იქმნება პარტიულ იდოლოგიათა დროებით უარყოფა, პარტიულ ორგანიზაციათა დაშლა, მის ორგანოთა დახურვა და სხვ. ხოლო ჩვენ ვნახეთ, რომ ცდითგან ამგვარი შეთანხმებით მიზნის მიღწევისა არა გამოვიდა რა, და რომც გამოსულიყო, ის ხანგრძლივი და ნაყოფიერი არ იქმნებოდა, რათგან ყოველი ასეთი შეთანხმება არის უსაფუძვლო. იდეოლოგიისა და პოლიტიკური მრწამსის დამალვა საზოგადოთ ძნელია და ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავად შეთანხმებისა, ჩვენ პარტიათა სრულიად გარკვეული იდეოლოგიური მისწრაფება ნათლად და აშკარად სჩანს მათი მოქმედებიდან და საქმიანობიდან და ხშირად ეს მათი მოქმედება სრულიადაც არ ემსახურება საქართველოს განთავისუფლების დიდ საქმეს, არამედ ნაკარნახევია წმიდა იდეოლოგიური მოსაზრებით.

**4. ჩვენ არა გვწამს არავითარი ეროვნული გაერთიანება, თუ ეს გაერთიანება არ იქმნა ნამდვილი წრფელი და ერთი ეროვნული იდეის ირგვლივ. ეს ეროვნული იდეა არის ახალი, თანამედროვე ნაციონალიზმისა, ფაშისტური. და სანამ ქართველი მარქსისტი მარქსისტად დარჩება და ინტერნაციონალის წევრად, დემოკრატი დემოკრატად, მასონი მასონად და სხვ., მათი შეთანხმება და კავშირი უკეთილშობილესი მიზნითაც სამშობლოს განთავისუფლებისა რომ იყოს იგი გამოწვეული, [illegible] უშედეგო იქმნება, რათგანაც მათ პრაქტიკულ მოქმედებასაც და საბოლოო მიზნის მიღწევასაც მაინც დაუშლის ის ჯაჭვი იდეოლოგიისა და პარტიის, რომლითაც ისინი არიან შეკრულნი.**

5. მაგრამ ჩვენ, თეთრგიორგელებს უფრო აი რა გვანსხვავებს მათგან: მათ მიერ მოთხოვნა ურთიერთისაგან ორგანიზაციათა დაშლისა და იდეოლოგიათა უარყოფისა მოასწავებს მხოლოდ პარტიათა მოქმედების დროებით შეჩერებას და ამ იდეოლოგიათა დროებით დამალვას, ხოლო გარდა იმისა რომ ესეც შეუძლებელია, მათ სურთ თავიანთი პარტიებიც და იდეოლოგიებიც საქართველოში კვლავ აამოქმედონ. მაშასადამე ისევ გადააგდონ ქართველი ერი კლასთა და პარტიათა ბრძოლის მორევში. მათ ნაცადი გზებით უნდათ იარონ კვლავ საქართველოში, რომელიც სწორედ ამ გზებმა დაღუპა. ხოლო ჩვენი იდეალია ამ გზათა და მათზედ მავალ პარტიათა მოსპობა და ახალი იდეითა და გზით სამშობლოს ცხოვრების განახლება. ცხადი უნდა იყოს ამიტომ ჩვენი და ამ პარტიათა რაიმე დროებით შეთანხმების შეუძლებლობა, უაზრობა, და უსაფუძვლობა, ვინაითგან არ შეიძლება იყოს კეთილი ნაყოფის გამომღები კავშირი შეურიგებელ და ერთმანეთს უკიდურესად დაპირისპირებულ ელემენტთა.

ყველა ქართველთა ერთად დარაზმვა და სრული მთლიანობის დამყარება, რაც თეთრი გიორგის იდეალს და მისწრაფებას წარმოადგენს, სამწუხაროდ დღეს, ემიგრაციაში, განუხორციელებელია და მიუწვდომელი. ცდა ამისათვის უნაყოფოა და დროს დაკარგვას ნიშნავს. ერთად ერთი რაც რეალურად შესაძლებელია, ეს მრავალ პარტიათა და ჯგუფთა იდეოლოგიის მიხედვით შეკავშირება და მათი ფაშისტურ და სოციალისტურ - დემოკრატიულ დარაზმულობად ჩამოყალიბება.

6. როგორც უკვე იყო ნათქვამი, თეთრი გიორგი მიიღებს მონაწილეობას მხოლოდ თანამედროვე ნაციონალიზმის ნიადაგზე დამყარებულ გაერთიანებაში.

ამ დარაზმულობითგან უნდა გამოვიდეს **ეროვნული კომიტეტი**, შემდგარი მის უენერგიულეს და დამსახურებულ წევრთაგან, გამსჭვალული ფაშისტური რწმენით, უარისმყოფელი ყოველი ორჭოფი პოლიტიკისა და ნამდვილი მომვლელი საქართველოს საკითხისა, რომელსაც დღეს აქ ჭირისუფალი არა ჰყავს და ამიტომ ყველა არა მოწოდებული და არამკითხე სცდილობს დაეპატრონოს მას და მისი სახელით ყველგან გამოვიდეს.

**კ. სალია**

## ბ. კოკი დადიანის ძვირფას ხსოვნას

ულრმესი მწუხარებით გავიგეთ გარდაცვალება თავადი ნიკოლოზ დადიანისა, წელთა განმავლობაში თეთრი გიორგის აქტიური წევრისა და დამსახურებული მამულიშვილისა.

მის დაკარგვას მძიმედ იგრძნობს ყოველი ქართველი, როგორც ცნობილი მოამაგის საზოგადო საქმისა.

ვის არ ახსოვს საუცხოვო მამა, წევრი და დამაარსებელი მრავალი საზოგადოებისა. ხშირად მოგვისმენია მისი სიტყვა და ხშირად გვინახავს იგი მჭერმეტყველი, მწიგნობარი, მოღვაწე და პატრიოტი. მისი ხელმძღვანელობით ხშირად უვლია თავად აზნაურობას, გლეხობას, პოლიტიკურ სხვა და სხვა ჯგუფს და საზოგადოებას.

იგი იყო ღრმად მცოდნე ქართული რაობისა. მისთვის სულმნათი აკაკის რაინდი ცოტნე დადიანი, სიძე ზნეშენახული ზემო იმერეთისა, არ იყო მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების ლეგენდა, არამედ ცხოვრების ნამდვილი გზის მაჩვენებელი მაგალითი.

არც უკანასკნელ ათეულ წლებში, უცხოეთში დაუყრია მას ფარხმალი და როგორც წევრი და ერთი ხელმძღვანელი ხანგრძლივ ილვწოდა იგი თეთრი გიორგის საქმისათვის, მის გაძლიერებისათვის.

მეგრულ-აფხაზური მარტო ფიმზიდველი იერი კი არა ჰქონდა მას, არამედ ხასიათიც: მისი გული არაჩვეულებრივი სიუხვით იხსნებოდა ყოველი მის გვერდში მყოფი მგობრისათვის და თანამემამულისათვის.

მის მახსოვრობაში ცოცხლად იყო შენახული სურათები საქართველოს კეთილშობილი წარსულისა, რაიცა იყო დაუშრეტელი, ცხოველმყოფელი წყარო მის მიმდევართათვის.

გავიცანი იგი 1925 წელს პარიზში, აჯანყების შემდეგ საქართველოს ცხოვრების მძიმე წუთებში, როდესაც ყოველი ქართველის მწარე კვნესა ისმოდა. დიდი იყო აღფრთოვანება ჩემი, როდესაც ერთ საღამოს ბიძა ჩემის ს. წერეთლის წყალობით ვნახე განუყრელ მეგობართა ჯგუფი და იქ ბატონი კოკი. იქ ბრძანდებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილიც... მთელი ჩემი ბავშური გულუბრყვილო ცრემლიანი აღფრთოვანებით შევეგებე მათ. ჩემს თვალ წინ აღიმართენ ძველი საქართველოს მშვენიერი სახეები. ღიმილიანი ალერსით ჩვენი ქვეყნის ამბავს მეკითხებოდა აჯანყების შემდეგ საქართველოთგან ახლად ჩამოსულს ბატონი კოკი.

მეორედ 1927 წელს ერთ პატარა სასტუმროს პატარა ოთახში შევხვდი მას. ბატონი კოკი, უკვე თეთრ გიორგელი, გვესაუბრებოდა ახალგაზრდებს ჩვენ წარსულ ჩვეულებათა ღირებულებაზედ და საჭიროებაზედ.

დაუვიწყარია ჩემთვის ის შთაბეჭდილება, რომელიც მან ჩემზედ დასტოვა, და ერთობ ყველასათვის მისი სახელი უკვდავი იქმნება, ვისაც უნახავს და მოუსმენია ეს დიდი გრძნობისა და გულის ქართველი.

**ირ. ოთხმეზური**

## ჩემი მეორე პასუხი „კავკასიელებს"

(დასასრული)

**2.** თუ მთიელი ბ-ნი ბამატი ზემოხსენებულ ბრძანებათა გამოცემით დაუდებს საუკუნო საზღვართ საქართველოს, ადერბეიჯანელი აზად-ბეგი უფრო მოხერხებულად მას ძალიან მაგარ საყვედურსაც მიახლის 1918 წელს გერმანელთა „მოწვევისათვის". ჩვეულებრივი გათრევის შემდეგ საქართველოს „მენშევიკური" მთავრობისა, იგი ბრძანებს: თუ ხან და ხან ზოგიერთი ქართული წრეები უსაყვედურებენ ადერბეიჯანელებს — თქვენ მოიყვანეთ თურქები კავკასიაშიო, ჩვენ, ადერბეიჯანელებიც განვაცხადებთ, რომ უფლება თავის დაცვისა არ არის აღკვეთილი არავითარი კანონით. თურქებმა ბოლშევიკების მიერ გაჟლეტას გადაგვარჩინეს და „სეიმის" ერთი ჯარის კაცი არ მო-

სრულა ჩვენ საშველად. ადერბეიჯანელ და მთიელ მოღვაწეებს ფიქრადაც არ მოსვლიათ საყვედური ეთქვასთ ქართველებისათვის იმის გამო, რომ მათ გერმანელები მოიწვიეს, მხოლოდ „**პრეზუმპციის** გამო საფრთხისა, რომელიც თითქოს საქართველოს მოელოდა თურქთაგან." ეს საფრთხე უფრო წარმოდგენითი იყო, ვიდრე ნამდვილი. რამდენადაც გვახსოვს, გერმანელები მიტომ კი არ მოიწვიეს, რომ იყო შიში თურქთა მიერ ქართველთა ამოწყვეტისა, — ეს არ იყო — არამედ იმიტომ, რომ არ მიეცათ თურქებისათვის ნებართვა საქართველოს რკინის გზით სარგებლობისა ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ადერბეიჯანის საშველად ჯარების გადაყვანისათვის. თურქები სომხეთით შევიდნენ ადერბეიჯანში, ხოლო მათი დაგვიანების მიზეზით ადერბეიჯანი და ჩრდილო კავკასია გადათელეს და აუარებელი ხალხი დახოცეს ბოლშევიკებმა. რასაკვირველია ეს არაფერს ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთათვის მენშევიკთაგან, რომელნიც ზნეობრივად კმაყოფილნი იყვნენ მით, რომ დაიცვეს „სუვერენული უფლებები დამოუკიდებელი სახელმწიფოსიო" და სხ. („კავკაზი" №4/42, აპრილი 1938: „სამწუხარო დოკუმენტი", გვ. 14—15).

წინადაც მოვახსენე „კავკაზს" და ახლაც განვუმეორებ, — დავანებოთ თავი ისტორიას მაშინდელი თურქების მოწოლისა და იმ როლს, რომელსაც ასრულებდა ბევრი ჩვენი მეზობელი. ისიც კარგად ვიცით, რომ სიტყვა „მენშევიკს" არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, გინება და საყვედური **საქართველოს** მთავრობისაკენ არის მიმართული და იგი მენშევიკური იქმნებოდა თუ უაღრესად ნაციონალისტური, აზად-ბეგები იმასვე იზამდენ მაშინაც და განიმეორებდენ ახლაც, რაც ჰქმნეს და რასაც ამბობენ. „მენშევიკურის" მაგივრად ეპითეტი საქართველოს მთავრობისა „შოვინისტური" იქმნებოდა და გინება და საყვედურიც შეიძლება ნაკლები ზრდილობითა და აპოლოგიითაც თქმული იყო! ხოლო მთელის ტკივილი მათი **გერმანელების „მოწვევაა"! უგერმანელებოდ, კი მაშინ არა, თუ, მარტო გურია იქმნებოდა თურქთაგან ვნებული, არამედ მთელი საქართველო, და თვით საქართველოს დამოუკიდებლობა იქმნებოდა შეუძლებელი, და წარმოუდგენელიც დამოუკიდებლად ახლად გამოცხადებული საქართველოს გამაგრება და არსებობა.** ეს ჩვენ, ქართველებმა, ძალიან კარგად ვიცით, კარგად იციან აგრეთვე აზად-ბეგებმა და მისმა მეზობელმა თანამოაზრეებმაც, მაგრამ ესეც იცოდენ: **წარსრულის გაკვეთილი და ახლანდელი მათ მიერ გადაშლილნი გრძნობანი „კავკაზში" მუდამ დააყრდნობენ საქართველოს ევროპის იმ სახელმწიფოს, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა ეინტერესება და არა მარტო რუსეთის ბატონობას აღკვეთავს ჩვენ მიწა-წყალზედ, არამედ სამხრეთის პრეტენზიებსაც. ეს ინტერესი რომელიმე ევროპის სახელმწიფოსი საქართველოსადმი და თვით საქართველოს დამოუკიდებლობა არის საფუძველი აგრეთვე კავკასიის პოლიტიკური არსებობისა.** „უგერმანელებოდ" საქართველოს და კავკასიის სახელმწიფოები ზღაპარია, ხოლო რასაც თურქების მიერ „საქართველოს რკინის გზით სარგებლობა" მოასწავებდა, ძალიან კარგად ვიცით. და თუ ადერბეიჯანსა და სხვა კავკასიელთ **მართლა** სურსთ დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, ბამატის მიერ განჭედილ ჯაჭვის პირველ რგოლს არ უნდა უმზადებდენ საქართველოს, მით უმეტეს არა აზად-ბეგის მიერ განჭედილ ამ მეორე რგოლს ჯაჭვისა, რომელიც შეგნებულად არის პირველის მიმყოლი და რომელიც საქართველოს, კავკასიის მთავარ მიწას, „უგერმანელოდ" „კეთილად განწყობილ" სამხრეთის „მეზობელს" ჩაბარებს შეკრულს. ხოლო თუ ჩვენ მეზობელთა პოლიტიკური მისწრაფება სწორედ ეს არის, არც ეს გაგვიკვირდება. წარსრულში ასე ჰფიქრობდენ ისინი და მოსტყუვდენ და თუ ისტორიამ ჭკუა ვერ ასწავლა, კვლავ უფრო მწარედ მოსტყუვდებიან!

**3.** კავკასიის სხვა და სხვა ტომთა წარმომადგენელთაგან თვითოეული სჭედავს რგოლს საქართველოს შესაკრავად განსამზადებელი ჯაჭვისა, და დაღესტნელისა და ადერბეიჯანელის შემდეგ ახლა ვუსმინოთ ოსს ელექხოტს. იგი ეკამათება ბ. დ. ვაჩნაძეს და ბრძანებს: წარსრულში ჩრდილოეთის კავკასიელები ყოველთვის ეხმარებოდენ სამხრეთის კავკასიელებს („კავკაზი" №6—7/30—31), ახლა კი ეჭვი შეაქვს ზოგიერთ ქართულ-სომხურ წრეებს მათ კავკასიურ პატრიოტიზმში. საქართველო იმან დაღუპა, რომ საქართველოს მეფეებმა რუსული ეპოქისა სარწმუნოებრივი მოსაზრებით მოინდომეს საქართველოს ამოგლეჯა სამშობლო (!) ნიადაგითგან და მისი გადაბმა დასავლეთ ქრისტიანულ ქვეყანასთან რუსეთთან კავშირით. მართლმადიდებლობამ რუსეთის მსხვერპლად ქრისტიანი ოსებიც გახადა. ჩემი შთაბეჭდილება ვაჩნაძის მიერ მოცემულ საისტორიო მასალათაგან ის არის, რომ კავკასიის ისლამის ერებს და მათ მაჰმადიან მეზობლებს კი არ შემოურტყამსთ სამტრო რკალი საქართველოსათვის, არამედ საქართველოს მართლმადიდებელმა მეფეებმა შემოარტყეს ასეთი რკალი კავკასიას და მის მეზობელთ. ამან დაღუპა საქართველო და მთელი კავკასიაც, ამან დაასუსტა სამხრეთის მეზობლები (ე.ი. სპარსეთი და ოსმალეთი). დღეს იგივე მეორდება. ქართველმა მენშევიკებმა დაივიწყეს ისტორია საქართველოსი, დაივიწყეს სამხრეთის უძველესი მეზობლები და საქართველოს უკანასკნელი მეფეებივით გაეშურენ შორეული დასავლეთისაკენ: „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნიაო", განაცხადა ბ-ნმა ჟორდანიამ. ამან ახლაც დაღუპა საქართველო და კავკასია, როგორც ერთხელ საქართველოს მეფითა პოლიტიკამ. დგება საკითხი, ოსმალეთის მოქმედება 1920 — 21 წლ. ნაწილობრივ ხომ არ იყო გამოწვეული მენშევიკების ბატონობით საქართველოში და მათი ორიენტაციით? ხოლო ახლა კვლავ დგება აგრეთვე საკითხი, მოახლოვებულია რა კავკასიის განთავისუფლება, რაგვარი ორიენტაცია უნდა მივიღოთ? საქმე ის კი არ არის, რომ კავკასიაში ზოგი ქრისტიანია და ზოგი მუსულმანი. ბევრგან ქრისტიანები თავს აზიელებად სთვლიან. კავკასიის ერებმაც უნდა ნახონ თავისი ადგილი ქვეყანაზედ. ვაჩნაძესა და ბევრ სხვა კავკასიელს სურს კავკასია დასავლეთის ქვეყანად დასახოს და გადააბას მისი ბედი დასავლეთს. მაგრამ ეს ისევე დაღუპავს მას, როგორც დაღუპა იგი საქართველოს მეფეთა და შემდეგ ქართველ მენშევიკთა პოლიტიკამ. ახლა საკითხი ასე სდგას: წასვლა დასავლეთისაკენ რუსეთით თუ ურუსეთოდ, თუ დარჩენა საკუთარ „გეოგრაფიაში", საკუთარ „ისტორიულ კალაპოტში"? კავკასიის ერები გაიზარდენ და მათი პოლიტიკური აზრიც პრიმიტიული აღარ არის. მათი ორიენტაცია საკუთარი მიწისაკენ უნდა იყოს. ხოლო კავკასიის საზღვართ გადაღმა არიან უფრო ახლო მეზობელნი მისნი ვიდრე დასავლეთი ევროპა და რუსეთი: ოსმალეთი და სპარსეთი, ყაზახობა და უკრაინა, თურქისტანი. კავკასია გეოგრაფიულად, ისტორიულად და კულტურულად აღმოსავლეთის ქვეყანა უფროა, ვიდრე დასავლეთისა. ამიტომ წასვლა დასავლეთისაკენ ან ჩრდილოეთისაკენ ყოველთვის ცუდად თავდება, როგორც ამას ამტკიცებს საქართველოს ისტორია და სხვ. — „უნდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ იქმნას, რა ქვეყანაა საქართველო: დასავლეთის თუ აღმოსავლეთის"? თუ ქართველი ერი ჟორდანიასავით და ზოგიერთი ნაციონალისტებისავით თავის თავს დასავლეთ ევროპის კულტურის ერად სთვლის და შორდება აღმოსავლეთს, მაშინ ბედი კავკასიისა საფრთხეშია. ხოლო თუ ქართველი ერი თავის თავს აღმოსავლეთის ერად სთვლის, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ერად, რომელმაც შეისვა წვენი კავკასიაში შეჯვარადინებული ორი მსოფლიო კულტურისა, მაშინ ჩვენ (ე.ი. სხვა კავკასიელები) ადვილად მოვნახავთ მასთან საერთო ენას და დავადგენთ საერთო პოლიტიკურ ხაზს. ამ მხრით სომხები საეჭვონი არ არიან. სომხები აღმოსავლეთის ერია და აღმოსავლეთს იგინი ვერ მოსცილდებიან, რაც არ უნდა სურდეს ეს ზოგიერთ თეორეტიკოსს. — მეო, ამბობს ბ-ნი ელექხოტი, როგორც მთიელი, როგორც ოსი, მიუხედავად ჩემი „ინდო-ევროპიელობისა", აღმოსავლეთის კაცად ვგრძნობ ჩემ თავსაო. ასეთ კაცებად მიმაჩნია ყველა მთიელი და ყველა ქართველი. საკმარისია ჩაწვდომა ქართული მუსიკისა და რუსთველის მელოდიათა, რომ ამაში დამეთანხმონო. მაგრამ იყო და არის ქართული პოლიტიკური წრეები, რომლებიც საქართველოს და თავის თავს არა სთვლიდენ აღმოსავლურად და ამან დაღუპა საქართველო და კავკასია. ეს საკითხი არა მარტო მეცნიერულად არის მნიშვნელოვანი, არამედ ჩვენი პოლიტიკური მიზნებისათვისაც და ამიტომ საჭიროა მისი გაშუქება უფრო კომპეტენტურ პირთაგანო. ბოლოს და ბოლოს თურქებსაც მოაქვსთ დასავლეთითგან ყველაფერი რაც სასარგებლოა, და, ზოგიერთი მხრით, საეჭვოა დღეს, ვინ უფრო არიან დასავლეთლები, ვაჩნაძის მსგავსი ქართველები თუ ქემალისტი თურქებიო და სხვ. („კავკაზი" №8/32, აგვ. 1936, გვ. 21-24). — ამას ამბობს ოსი და ახლა აფხაზს! [illegible]გდოთ ყური. ბატონი ემუხვარი ბრძანებს: მ. წერეთელმა ვერ გაიგო ელემენტარული ჭეშმარიტება, რომელიც ზურაბ ავალიშვილმა წარუყენა ჩვენ მოწინააღმდეგეებს, — არ შეიძლება პოლიტიკური ხაზის დადგენისას არქეოლოგიაში მასალის ძებნა. იგი კი სწორედ არქეოლოგიის მტვერში ეძებს დაბრკოლებას კავკასიის ერთა კონფედერაციის განხორციელებისა. („კავკაზი" №3/63, მარტი 1939, გვ. 23). არსებითი ნაკლი ქართული პოლიტიკისა წარსრულში იყო დასავლეთის ორიენტაცია. ტრაგედია საქართველოსი და მისი ბედის გამგეთა შემდეგი იყო: იგინი ვერ მიხვდენ, რომ ევროპაში დიდი ხნითგან განმტკიცდა დებულება არა სარწმუნოებრივი, არამედ სახელმწიფო მოსაზრებით ხელმძღვანელობისა, და ამ გაუგებრობის გამო თხოულობდენ იგინი წინააღმდეგსო (გვ. 25). საქართველო დაამარცხა რომის რესპუბლიკამ, მაგრამ საქართველო რომს არ დამონებია. რა იქნებოდა რომ მას ეწარმოებია იგივე პოლიტიკა ქრისტიანობის მიღების შემდეგაც? მას უნდა ჰყვარებოდა თვისი ქრისტეს რჯული, მაგრამ ამავე დროს შეეძლო ლოიალური ყოფილიყო აღმოსავლეთისადმი, ე.ი. მთავარი პრინციპი ქართული პოლიტიკისა უნდა ყოფილიყო შემდეგი: გარეშე დამოკიდებულებათა სფეროში ერთგულება აღმოსავლეთისა, სპარსეთისა, შინაურ პოლიტიკაში თავისუფლება, განსწავლა დასავლეთის მაგალითებითა. საუბედუროდ ხდებოდა საწინააღმდეგო (გვ. 26). როდესაც ასეთი ქართული პოლიტიკის შედეგად რუსეთის შემოშვება შეიქმნა საქართველოში, მაშინ რუსის ხიშტებმა საქართველოში იგივე ჰქმნეს, რაც პომპეიუსის ლეგიონერებმა სირიაში. ამიტომ უკეთესი იქმნებოდა საქართველოსათვის, არ მოეწვია ეს უცხო ხიშტები, რომლითაც მ. წერეთელი ემუქრება აღმოსავლეთს, ოსმალეთს (იქვე). ვახტანგ მეექვსე დასავლეთის სიმპატიებმა დაღუპა. ის რომ ლოიალური ყოფილიყო აღმოსავლეთისა, სპარსეთისა, დაამთავრებდა იმ ღვაწლს აღმაშენებლობისა, რომელიც მან დაიწყო. მას არავინ ამას არ უშლიდა. საქართველო ბედნიერი იქმნებოდა და ასცდებოდა იმ უბედურებას, რომელიც მას თავს დაატყდა, რათგანაც სპარსეთის გმირულად დახმარების მაგიერ იგი რუსეთის მეფეს პეტრეს მიემხროო (გვ. 27). მ. წერეთლის აზრით საქართველოს უბედურებაში ყოველთვის სხვა არის დამნაშავე. ამიტომ იგი კავკასიელ მთიელთაც დამნაშავედ სთვლის მათ მრავალ დაცემათა გამო საქართველოზედო. მაგრამ საჭირო იყო მხოლოდ ქვეყნის მმართველობის კარგად მოწყობა და ასეთი დაცემებიც აღარ იქმნებოდაო (გვ. 27—28). დასასრულ, თუ საქართველოს „კანონიერი შესაძლებლობა" ჰქონდა ელჩების გაგზავნისა უცხოეთში, თუ ერეკლე მეორემ ხელშეკრულობით მიიღო რუსეთის მფარველობა, მაშასადამე საქართველოს ჰქონია სუვერენული სახელმწიფოს ფუნქციები და საჭირო იყო მისი დაცვა მასზედ მფარველობის მაძიებელთა წინააღმდეგ, და არა მათი ვასსალობა იმ იმედით, რომ ქვეყნისათვის ეს იქმნებოდა უმჯობესი. და თუ საქართველო მოსტყუვდა, ხოლო მონანია ძველი შეცდომა და ახლა დაუბრუნდება ძველ „თანამგზავრთ", ამით იგი აღასრულებს მხოლოდ აქტს სახელმწიფო საჭიროებისასო (გვ. 28).

ოსი და აფხაზიც ძალიან „კოხტად" გამოსთქვამენ თავიანთ აზრს და მათნი ზრახვანი საქართველოს მიმართ სიწმიდითა და წრფელობით არ ჩამოუვარდებიან დაღესტნელისა და ადერბეიჯანელის ზრახვათ.

თუ როგორ „ეხმარებოდენ" წარსულში „ჩრდილოეთის კავკასიელები" „სამხრეთის კავკასიელებს", ზოგნი სწორედ მაშინ, როდესაც სამხრეთის უძლიერესი მტრები ანადგურებდენ ამ „სამხრეთის კავკასიელებს", ზოგნი კი ახლო წარსულში, და თუ ვის სამსახურში იყვნენ ისინი და ვისი ბრძანებით გვაბედნიერებდენ თავიანთი „დახმარებით", ეს ბ-ნმა ელექხოტმა უეჭველად ძალიან კარგად იცის, და ურჩევნია ამას ნურავის მოაგონებს „სამხრეთის კავკასიელთაგან", — მწარე წარსრულს, რომელიც ჩვენი გულითგან აღმოფხვრილია სწორედ ჩრდილოეთის კავკასიელების სამეგობროდ მომავალში, თუ გაიგებენ და დააფასებენ ამ გრძნობას ისე, როგორც შეჰფერის „უკვე გაზრდილსა და უკვე არა პრიმიტიული აზრის მქონე ერებს". და თუ ვინ იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველომ ბოლოს და ბოლოს „კარგი მმართველობა" ვერ შეჰქმნა, რომ მისი აღმოსავლეთი ნაწილი მუდამ დარბეული არ ყოფილიყო ჩრდილოეთითგან, ეს შეიძლება ემუხვარმა მართლა არ იცოდეს, ან არც აინტერესებდეს მას, და მოგვიტევონ ოსმაც და აფხაზმაც, თუ ბევრმა ქართველმა და კავკასიელმაც მათ მიერ წამოსროლილ უმართებულო სიტყვათა გამო მათი „კავკასიური პატრიოტიზმი" ძლიერ საეჭვოდ მიიჩნიოს!

მაგრამ კადნიერება ოსისა და აფხაზისა არა ოდენ უფრო შორს მიდის, არამედ პირდაპირ უსაზღვროა: საქართველოსათვის ისლამის ერებსა და მათ მაჰმადიან ძლიერ მეზობლებს (ე.ი. ოსმალეთსა და სპარსეთს) კი არ შემოურტყამსთ სამტრო რკალი და არა უქმნიათ რა მისთვის ეროვნულად და სახელმწიფოებრივად, არამედ **ქართველ „მართლმადიდებელ მეფეებს"** დაუღუპავსთ საქართველო და მთელი კავკასიაც და მათ მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთებით დაუსუსტებიათ ოსმალეთი და სპარსეთიც! — ამგვარად ელექხოტ - ემუხვარის დღევანდელ გუნებაზედ და ჭკუაზე უნდა ევლოსთ საქართველოს და მის მეფეებს! და რად უნდა ვუთხრათ მარტო ვახტანგ მეექვსესა, ერეკლე მეორესა და სხვათ საყვედური, ამგვარივე და კიდევ მეტი საყვედურის ღირსნი უნდა იყვნენ ქართველნი მეფენი და ერთობ პოლიტიკურნი მოღვაწენი ჯერ კიდევ იმ დროისა, როდესაც ისინი უბრძოლველად მაზდაისტური ძლიერი სპარსეთის წინაშე ქედს არ იხრიდენ! შეცდომა ყოფილა, რომ არაბთა შემოსევისას ქართველი ერი ბევრი სხვასავით მათ წინადაცვეთისათვის განმზადებული არ მიეგება! სისულელე, კადნიერება ჩაუდენია **დავით** აღმაშენებელს, რომ საქართველოში შემოსეულ თურქობას მოსპობა შეჰკადრა, ასეთივე მოსპობა არგუნა მან ბედად მაშინდელ მაჰმადიანურ ცოცხალ, საქართველოზედ მოზღვავებულ ძალას, წაართვა არაბებს თბილისი, შექმნა ძლიერი „მართლმადიდებელი" საქართველო და ისეთი ძლიერი, რომ თამარ მეფის დროს ზაქარია მხარგრძელმა სულთნის ელჩს ჯერ კარგი მაგარი სილა „უხეთქნა" კადნიერებისათვის და მერმე მისი მხედრობა აქცია მტვრად! შეცდომა და კადნიერება ყოფილა სრულიად გიორგი მესამისა და თამარის მიერ აღმოსავლეთის ალაგმვა და ამით საქართველოს უზრუნველყოფა! შეცდომა ყოფილა მონღოლთა წინააღმდეგობაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ მიიღეს ნათელი ისლამისა და „მართლმადიდებელი საქართველო" ისლამის რკალში მოექცა სრულიად! სირეგვნე ყოფილა საქართველოს მთელი ბრძოლა შემდეგაც, საუკუნეთა განმავლობაში, სპარსეთისა და ოსმალეთის დიდ იმპერიათა წინააღმდეგ „სჯულის" დასაცავად! ერთი სიტყვით, მთელი ეპოპეა საქართველოს ბრძოლათა, მთელი მისი პოლიტიკა და ისტორია მრავალი ას-წლოვანი რაღაც გადარეული ჟინით ყოფილა გამოწვეული, თვარა ვინ რას უშავებდა საქართველოს! ყვარებოდა თავისი ქრისტეს სჯული, ყოფილიყო ვასსალად და მორჩილად „სამხრეთის დიდ თანამგზავრთა" და მას არც შახ-აბაზი შეაწუხებდა და არც სხვა ვინმე შახ-აბაზზედ წინად და შემდეგ! იგი ბედნიერი იქმნებოდა ემუხვარის რეცეპტით და კიდევ უფრო ბედნიერი ელექხოტის რეცეპტით, თუ იგი „გააღმოსავლეთელდებოდა", ე.ი. წინა-დაიცვეთდა დროზედ, და აღარც სამცხე-საათაბაგოს განადგურებაზედ და გადარჯულებაზედ დასჭირდებოდა დღეს ტირილი, აღარც შახ-აბაზისაგან სპარსეთში გადასახლებულ და გადარჯულებულ ას-ათასობით ქართველზედ, აღარც ქეთევან დედოფლისა და ვახტანგ მეფის ბედზედ, და აღარც ერეკლე მეფეს დასჭირდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებაზედ ზრუნვა. რუსეთიც შეიძლება კავკასიაში ვერ შემოსულიყო და ოსმალეთსა და სპარსეთს ვერ დაასუსტებდა და დღეს „კავკასიის კონფედერაციის" საკითხიც ჩინებულად იქმნებოდა გადაწყვეტილი კავკასიის ყველა ერთა მათთვის ბუნებრივ აღმოსავლეთის სულიერ სფეროში გადასვლით! და თუ აქამდე სირეგვნე ამოძრავებდა საქართველოს თავის პოლიტიკაში, ახლა მაინც მოვიდეს ჭკუაზედ, დაანებოს თავი დასავლეთს და გადაებას საუკუნოდ აღმოსავლეთს, ოსმალეთსა და სპარსეთს!

კმარა ეს ნაბროდალიც ოსისა და აფხაზისა, რომ დაწვრილებით სხვა ბევრსაც არ შევეხოთ!

და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ელექხოტისა და ემუხვარის გასაგონად რაისამე თქმასა. ხოლო მოვაგონებთ ყოველ ქართველს, რომელმაც თავისი წარსრული იცის და ქართული ეროვნული გრძნობა და პოლიტიკური ალღო აქვს: **თუ დღეს ქართველი ერი, ქართველი კაცი, ქართულად მეტყველი და მწერალი, ქართული კულტურით მოამაყე არსებობს, თუ დღეს საქართველო არსებობს, უკეთესი მომავლის მსახოებელი, ეს იმიტომ, რომ საქართველომ იბრძოლა აღმოსავლეთის — სპარსთა, არაბთა, თურქთა, მონღოლთა და მათ დამხმარეთა წინააღმდეგ ხმლით ხელში, და ეძებდა მოკავშირეთ მათ შორის, ვინც აგრეთვე მის მტერთა მტერი იყო; და იგი ებრძოდა „წარმძლევანებითა ძელისა ცხორებისაითა", ჯვარისა, რათგანაც ეს ჯვარი იყო სიმბოლო ქართველი ერის სულიერი არსებობისა; და იგი ეძებდა მოკავშირეთ იქ, სადაც იგივე „ძელი ცხორებისა" „[illegible]რი", ე.ი. ერთისა და იმავე სულის მქონე ერთა შორის. სხვა საქართველო არ არსებულა დღითგან მისი შესვლისა ქრისტიანულ კულტურულ სფეროში!**

ეს გარემოება განსაზღვრავდა მისი პოლიტიკის დიდ ხაზებს. ამიტომ იყო იგი დასავლეთის ორიენტაციისა და იქ ეძებდა შველას. დროებითი დადგმა აღმოსავლეთის უღლისა მის მიერ მხოლოდ სულის მოთქმა იყო, მტრის თვალის ასახვევად გადახვევა მისი ერთად-ერთი პოლიტიკისაგან, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში იგი კვლავ დაბრუნებოდა თვის სფეროს ბუნებრივ კავშირთა. ხოლო როდესაც ეს გადახვევა პოლიტიკისა გადახვევა კი არა, არამედ არაბუნებრივ კავშირთა სფეროში ნამდვილი გადასვლა იყო ხოლმე, მაშინ ხდებოდა საქართველოს ცხოვრებაში ისეთი უაზრობა, ნამდვილი „სკანდალი", როგორიც იყო საქართველოს ტახტზედ დაჯდომა გამუსულმანებულ ბაგრატიდთა, იესო ქრისტეს ნათესავთა! აი რას მოასწავებდა ემუხვარის „გარეშე დამოკიდებულებათა სფეროში ერთგულება აღმოსავლეთისა და შინაურ პოლიტიკაში თავისუფლება", და ვახტანგმაც ძალიან კარგად იცოდა, თუ რისთვის იყო საჭირო რუსეთის მეფესთან კავშირი და რა მდგომარეობითგან თავის დასაღწევად, და ერეკლე მეფესაც ემუხვარზედ უკეთ ესმოდა, თუ რას სჩადიოდა, როდესაც მან, მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა, რუსეთთან პროტექტორატის ხელშეკრულება დასდვა.

აღმოსავლეთი, ისლამი, მებრძოლი კულტურულ-სარწმუნოებრივი ქვეყანა იყო, როგორც დასავლეთი, ქრისტიანობა. თუ ჩვენ დასავლეთთან ერთად „ჯვარით" ვიბრძოდით აღმოსავლეთის წინააღმდეგ, აღმოსავლეთი თვისი დროშით, თვისი ახალი მთვარით გვებრძოდა. ამას ზედ ერთოდა მუდმივი პოლიტიკური მისწრაფება ოსმალეთისა და სპარსეთისა კავკასიის ქედზედ საზღვრების დადებისა. აღმოსავლეთის ეს ძალა საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდა ყველა სისხლისა და შთამომავლობის ერთ, რომელნიც მოწინააღმდეგე ქვეყანას ეკუთვნოდენ, თავმოყრილნი იყვნენ იგინი არაბთა სამფლობელოში, სპარსეთში თუ ოსმალეთში. ბევრი ერი დამარცხდა და მოისპო მისი პირვანდელი სახე, ბევრმა გაუძლო ბრძოლას და გადარჩა: ბერძნები, სერბები, ბულგარები, უნგრელები და სხვანი სამხრეთ-აღმოსავლეთ და შუაგულ ევროპაში (უნგრელების მაგალითი სწორედ თავის წინააღმდეგ მოჰყავს ემუხვარს!), ესპანელები იბერიის ნახევარ კუნძულზედ, ქართველები კავკასიაში ევროპისა და აზიის საზღვარზედ გადავრჩით საუკუნეთა ბრძოლის შემდეგ სრულ მოსპობას, მაგრამ რაოდენ დასუსტებულნი გამოვედით ამ ბრძოლითგან ტერიტორიალურად, ეროვნულ - კულტურულად და რასიულად! და თუ შევინარჩუნეთ ის მაინც, რაც ახლა გვაბადია, მხოლოდ ბრძოლით, ხოლო ემუხვარის „გმირული დახმარებით" აღმოსავლეთისა ახლა ჩვენი სახსენებელიც არ იქმნებოდა! საქართველომ თითქმის ნახევარი თავისი მიწა-წყლისა დაჰკარგა ამ ბრძოლაში, სამცხე-საათაბაგო გაამაჰმადიანეს თურქებმა და ნაწილობრივ გაათურქეს კიდეც. სპარსეთის მუდმივმა შემოსევებმა მონღოლთაგან საუკუნეთა განმავლობაში ნაწამები და განადგურებული აღმოსავლეთი საქართველო კვლავ უფრო აახრეს, შეამცირეს მოსახლეობით, აწამეს, გახრწნეს ზნეობრივად ისე, რომ საუკეთესო ძენი საქართველოსანი სწორედ ემუხვარის რეცეპტით გმირულად იბრძოდენ სამხრეთის „თანამგზავრისათვის" საკუთარი ქვეყნის დაცვის ნაცვლად, იცვლიდენ სარწმუნოებას და ითვისებდენ უცხო, საზიზღარ ზნე-ჩვეულებათ და შემოჰქონდათ საქართველოში. აი ამ „წაწოლის" პოლიტიკამ გახადა ბოლოს და ბოლოს შესაძლებლად მუსულმან ბაგრატიონთა საქართველოს ტახტზედ დაჯდომა, რაიცა უდიდეს სირცხვილად ჩაითვლება მთელს საქართველოს ისტორიაში და რაიცა ისეთივე აბსურდი იყო, როგორიც იქმნებოდა მართლმადიდებელი ქრისტიანე მეფის ხალიფას ტახტზედ დაბრძანება! მაგრამ მაშინდელ ქართველთ, მეფეთ და სხვა პოლიტიკოსთ, ყველას ემუხვარის პერ-გინტის თავი ხომ არ ება, და ჰხედავდა, თუ რით უნდა გათავებულიყო ბოლოს და ბოლოს ეს პროცესი საქართველოს შეჭმისა აღმოსავლეთის მიერ, ხან ხრმლით, ხან ტკბილი მოპყრობით, თითქოს სარწმუნოებასა და პოლიტიკურ თავისუფლებასაც კი გვიტოვებდა იგი! და როდესაც ნამდვილი ევროპითგან შველა შეუძლებელი შეიქმნა, რათგანაც ევროპასა და ჩვენ შორის უძლიერესი წევრი აღმოსავლეთის ქვეყნის ერთა კრებულისა იყო ჩამდგარი, მაშინდელმა ქართველებმა უფრო ახლო მეზობელს, რუსეთს გაუღეს დარიალის კარი და ქართველი ერის სიცოცხლე საქართველოს პოლიტიკური ვასსალობისა და შემდეგ მონობის ფასად იყიდეს. თუ ამით ოსმალეთი და სპარსეთი დასუსტდა, ეს საქართველოს ბრალი არ არის.

დიაღ! მიუწვდომელი, ვნებათა აღსავსე ეპოპეა საქართველოსი იყო ყოველივე ესე და ვიღაც ელექხოტ-ემუხვართა ადვილად საყბედო საგნად მას ქართველობა ვერ გახდის! „კავკაზს" ელექხოტის პირით ოსმალეთ - სპარსეთ - ყაზახ - უკრაინა-თურქისტანის საზღვრებში უნდა მოაქციოს კავკასია და საქართველო. დავანებოთ უკრაინასა და ყაზახობას თავი, ხოლო თურქისტანთან ჩვენ არაფერი „სასაზღვრო" არა გვაქვს, და რაც ოსმალეთისა და სპარსეთის მეზობლობამ მოგვიტანა, მისთვის საქართველო მათ მადლობას ვერ გამოუცხადებს. საქმე მარტო ეს „გეოგრაფია" არ არის. ევროპა ერთი დიდი ერთეულია ატლანტის ოკეანეთგან უკრაინა - კავკასიის შეცვით. კავკასიაში, საქართველოში მეორე გზაც მიდის ზღვით ჰერკულესის კართა-

გან კოლხიდის ნაპირებამდე. ესეც „გეოგრაფიაა“. მაგრამ გადამწყვეტი საქართველოსა და ქართველი ერის მდგომარეობისათვის არის ევროპის კულტურულ-სულიერი ერთობა, მიუხედავად მის შემადგენელ ერთა შორის ხშირ და ხანგრძლივ ბრძოლათა. განსხვავებული აღმოსავლეთისაგან საქართველო დღითგან მის წიაღში ქრისტიანობის დამკვიდრებისა, და წინადაც, ევროპას ეკუთვნოდა და ჰქონდა პირდაპირი კავშირი მის აღმოსავლეთ ნაწილთან, საბერძნეთთან, ბიზანტიასთან. იგი აღმოსავლეთის ქრისტიანობითგანაც კი გამოვიდა და ბერძნულს, ე.ი. აღმოსავლეთ ევროპიულს შეუერთდა, ჰქონდა რა ამავე დროს კარგი განწყობილება დასავლეთ - ევროპიულ კათოლიკობასთან. **იგი იყო და კვლავაც გახდა განუყოფელი ნაწილი ევროპისა და დარჩა დღემდე. და მისი ბრძოლაც იმ მოვალეობის აღსრულება იყო, რომელიც მას ევროპის სამცველოზედ უნდა აღესრულებია.** ვისაც ეს არ ესმის, მას არც ქართველი ერის გაეგება არაფერი, არც მისი ისტორიისა და არც მისი პოლიტიკისა. ამით აიხსნება მისი ბრძოლა აღმოსავლეთის წინააღმდეგ, — ეს იყო ბრძოლა ქართულ-ეროვნული, ე.ი. ევროპიულ - ქრისტიანული კულტურის დასაცავად, ვინაითგან „ქრისტიანობა“ მარტო სარწმუნოება, დოგმები და ეკლესია კი არ იყო და არ არის, არამედ მთელი რთული სულიერ-კულტურული აგებულება ერთა დიდი კრებულისა, როგორც ისლამია იგივე მოვლენა. ამით აიხსნება ქართველ „მართლმადიდებელ მეფეთა“ დასავლური ორიენტაცია, რუსეთთან ხელშეკრულების დადება ბრძოლაში დაღლილ და დალუპვის გზაზედ მდგომ საქართველოსი წარსულში, ამით აიხსნება გერმანიასთან კავშირი საქართველოსი ახლო წარსულში და მომავალში მისი ცდა ევროპასთანვე კავშირით სცადოს აღმოსავლეთითგანაც თავის დაცვა, ოდეს დადგება ასეთი საფრთხე, და გააზიელებული ბოლშევიკური რუსეთისაგანაც თავის დახწევა, ოდეს აგრეთვე ამისი ჟამიც მოახწევს. ქართველი ერი, მიუხედავად მასზედ აღმოსავლეთის გავლენისა, ევროპიული ერი იყო და არა აღმოსავლურ-დასავლური „შეჯვარადინებული კულტურისა“. იგი ასეთი დარჩა დღესაც და იქმნება მუდამ, სანამ იგი არსებობს. მისი კულტურა, მისი სული, მისი სოციალური სტრუქტურა საშუალო საუკუნეებშიაც უფრო ევროპიული იყო შეიძლება ვიდრე თვით ბიზანტიისა. **აღმოსავლური ქართველი ერი აროდეს არსებულა.** ეს იცოდეს ელეკხოტმაც და მისმა კავკასიელმა თანამემამულეებმაც და დაანებონ თავი რუსთველისა და ქართული მუსიკის ჩაწვდომას, სადაც იგინი ვერაფერს გაიგებენ. ხოლო მათ მიერ ცნობა თუ რა არის ქართველი ერი, არის უმთავრესი პირობა ჩვენსა და მათ შორის კავშირისა. ჩვენთვის სულ ერთია, ყველა იგინი ელეკხოტივით აღმოსავლურად გრძნობენ თავს თუ დასავლურად. ხოლო მათთან პოლიტიკურ სოლიდარობაზედ უარი არ გვითქვამს და არც ვამბობთ, — და არც ოსმალეთთან და სპარსეთთან კარგ მეზობლურ განწყობილებაზედ, განსაკუთრებით მათ მიერ ევროპის ცივილიზაციის (და არა კულტურის) გადანერგვის შემდეგ, თუ მათ ნამდვილად სურსთ კავკასიასთან კავშირი საერთო მტრის, რუსეთის წინააღმდეგ და გულში ძველი ზრახვანი არ უდევსთ. ჩვენ ამისი ახლა არა ვიცით რა, ახლო წარსულში ოსმალეთისაგან საწინააღმდეგო ნიშანი ვიხილეთ (ელეკხოტს რომ ჰკითოთ, ქრთველ მენშევიკთა წყალობით!), და მხოლოდ ბამატისა, ელეკხოტისა და ემუხვარის ფიცით თუ ვერ შევჯერდით, ნუმცა ვიქმენით ღირსნი რისხვისა მათისა!

ევროპიელობა ქართველი ერისა განსაზღვრავს მისი პოლიტიკის საერთო ხაზებს და მას ვერ გადაუხვევს საქართველოს ვერც ერთი გვარის პოლიტიკოსი; ვერც მეფე, ვერც დემოკრატი, ვერც ფაშისტი, ვერც ნაციონალისტი და ვერც მენშევიკი ისე, რომ არ ჩაიდინოს არაბუნებრივი და უმსგავსო რამ. ამიტომ ნუ უკვირს ელეკხოტს ჟორდანიას განცხადება: „აღმოსავლეთის ფანატიკოსებს დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნიაო“. არ ვეხები დროს და ტაქტს ასეთ განცხადებათა, **მაგრამ პრინციპი ასეთი უნდა იყოს ყოველი ქართველი პოლიტიკოსისა, და ჟორდანიას განცხადება სწორია და მოვალეობა იყო მისი!** სანამ ამას ვერ გაიგებენ ელეკხოტები და მსგავსნი, ამაოა მსჯელობა კავკასიის „კონფედერაციაზედ“ და მსგავს რამეებზედ!

მაგრამ ახლა ხომ ესმის მკითხველს, თუ სად არის ძირი „კავკაზის“ მიერ ქართველ მენშევიკთა და საქართველოს მენშევიკური მთავრობის საშინელი სიძულვილისა და დაუცხრომელი გინებისა? ამ ძირს მხოლოდ „კავკაზის“ ქართველი თანამშრომლები ვერ ჰხედავენ, ან არ ჰხედავენ! თუ ყოველ „მართლმადიდებელ მეფეს“ საქართველოისა და ყოველ პოლიტიკოსს დასავლეთ-ევროპის ორიენტაციისა მენშევიკების მსგავსი პოლიტიკა უწარმოებია და დაუღუპავს საქართველო, მაშ მენშევიკების გინება მათაც ხვდება, და რათგანაც მენშევიზმის დაცვას დღეს ქართველი ნაციონალისტი ვერ გაბედავს, ვერც იმ მეფეთ და პოლიტიკოსთ დაიცავს, რომელნიც მენშევიკების მსგავსად საქართველოს და კავკასიას ღუპავდენ! ასეთია ელეკხოტური ლოღიკა. ძალიან კარგად არის ნაანგარიშევი ყოველივე ესე, და „კავკაზმა“ ისე გადააჭარბა ამ ანგარიშით, რომ მაგ. მისი ქართული ვერსიის მე-2(21) ნომერში (თებ. 1939) თორმეტი წერილითგან ექვსი ქართველი მენშევიკებისა და ნ. ჟორდანიას ლანძღვაა! კავკასიის სხვა ერთა მენშევიკებისა და მათ შესატყვისთა შესახებ კი მსგავსს ვერაფერსა ვხედავთ „კავკაზში“. მაგრამ ვინ უნდა გაარეგვნონ ისე, რომ ვერ დაინახოს ეს მდაბალი ვერაგობა, და ვერც მე „დასავლეთელს“ ვერ შემაშინებენ ამ აღმოსავლური ფანდით — მარქსიზმს, მენშევიზმს იცავს ფაშისტიო და სხვ. რასაც მე ვიცავ და არ ვიცავ, ცხადია, ყველას შეუძლია გაგება ჩემი ნათქვამითგან, რათგანაც მე საეშმაკო და სავერაგო არა მაქვს რა, მაგრამ რასაც „კავკაზი“ აგინებს და რაისა და ვის წინააღმდეგაც იბრძვის დაძველებული აღმოსავლური ხრიკებით, ამისი ცხად-ყოფა ჩვენი მოვალეობაა და თავიანთი შირაზული ხრიკები მას ჩვენთან არ გაუვა!

აქვეა ძირი ბ. შ. ამირეჯიბის ახირებული სურვილისა, რომ მაინცა და მაინც სათნო ეყოს ბამატს, ელეკხოტსა და აღმოსავლეთს. შ. წერეთელი „ებრძვის სპარსეთის გავლენას საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზედ და თვითონაც არ ესმის, რომ არსებითად ის ებრძვის მე-16, 17 და 18 საუკ. ქართველობას, რომელმაც ქართული კულტურისათვის დიდი ღვაწლი გასწია. ნამდვილი ბარბაროსობაა, როდესაც ის, ამ ეპოქას, რომელსაც ქართული მწერლობის ისტორიაში „ვერცხლის ხანა“ ჰქვიან, დაცემის ხანად და ერთიანად სპარსულს უწოდებს“. — იგი „სამი საუკუნის წარსულს, არა ისე იოლად ნაშოვნს, წყალში ჰყრის. დანარჩენი კამათი ზედმეტია“ო. (ქართული „კავკასია“ ნომერი 1(20), იანვ. 1939).

ალბათ ესეც აღმოსავლური ლოღიკაა — საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზედ სპარსეთის ცუდი გავლენის აღნიშვნა მთელი სამი საუკუნის განმავლობაში კულტურისათვის მოღვაწე ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა ყოფილა! ამირეჯიბს სურს ალბათ მკითხველი დაარწმუნოს, რომ მე სულხან-საბა ორბელიანის მტერიც ვყოფილვარ (ალბათ ამიტომ ვთარგმნე „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულად!), ვახტანგ მეფისაც, ვახუშტისაც და სხვებისაც. მაგრამ ამას ისევე დაუჯერებენ მას, როგორც ჩემ მიერ მარქსიზმის დაცვას. მე ორჯერ გამოვთქვი ჩემი აზრი სპარსული ცუდი გავლენის შესახებ ქართულ კულტურაზედ იმ შავ-ბნელ დროს, ძალიან ნათლად, და ახლა მესამედ მოვახსენებ ბ. ამირეჯიბს: იმ ეპოქის კულტურული შემოქმედება ქართველთა „ერთიანად სპარსულად“ კი არ მიმაჩნია, არამედ იგი სპარსთა და ოსმალთა მიერ ქვეყნის განადგურებისა და ძლიერ ცუდი გავლენის გამო არც ყოფილა და ვერც იქმნებოდა ისეთი ძლიერი და ისეთ ღირებულებათა შემქმნელი, როგორც შემოქმედება ძლიერი და თავისუფალი საქართველოსი, რომ მისთვის ბედს ერგუნებინა ეროვნული ცხოვრების გარდუტეხელად განვითარება, რომ მისი ძველი კულტურა მონღოლების შემოსევისაგან არ დაღუპულიყო თითქმის კატასტროფიულად, რომ შემდეგ ქართველი ერი სპარსთ და ოსმალთ არ ეძიძგნათ საუკუნეთა განმავლობაში და არ მოეხდინათ თავიანთი მისთვის უცხო და ცუდი გავლენა მის კულტურულ ცხოვრებაზედ. მიუხედავად ჩვენი კულტურული ცხოვრების ოდნავ გამოცოცხლებისა ეგრედ-წოდებულ „ვერცხლის ხანაში“, მიუხედავად ბევრ ნიჭიერ მწერალთა და სხვა მოღვაწეთა ღვაწლისა ამ ეპოქაში, ამ დროს აღყვავებისა და ნამდვილი აღორძინების ხანად ჩვენი ცხოვრებისა ვერ ჩავთვლით, — ხანას, როდესაც თვით „აღმაორძინებელთ“ დასტოვეს საქართველო, რუსეთს გარდაიხვეწენ, იქ მოღვაწეობდენ და იქვე დაიხოცენ! ხოლო მრავალ მაშინდელ მოღვაწეთა შემონაქმედს მართლა დაკარგული აქვს ყოველი ღირებულება გარდა ისტორიულისა. რა შუაშია აქ იმ დროის კულტუროსან ქართველებთან ბრძოლა! კამათი მართლაც ზედ-მეტია, და თუ ახლაც ვერ გაიგო ბ. ამირეჯიბმა, რაც მოვახსენე, ვფიქრობ, ვაი თუ ეს მოვლენა სხვა რამით ახსნას მკითხველმა, და არა ბ. ამირეჯიბისათვის ჩვეული გრეხით, ვითომც ვერ გაიგო რას ეუბნებიან! და ბარბაროსიც ის არის, ვინც ბარბაროსთაგან ნაწამებ ქართველ გვირგვინოსნებს ბარბაროსთავე ათრევინებს, რომელთაგან მალე აგრეთვე დეკრეტს უნდა მოველოდეთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ აღარ ვიკითხოთ, ან ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, ბოლშევიკებმა რომ განდევნეს, ჩვენც ისევე განვდევნოთ ქართული თეატრითგან!...

4. კავკასიის თავმატურგს ბამატს დიდი სასწაულიც აქვს განზრახული —კავკასიის სახელმწიფოს მიერ კავკასიის ერის შექმნა, ხოლო მან ჯერჯერობით კავკასიის „ოთხი თანაბრად ნათელი ოთახი“ ისე უნდა მოაწყოს, რომ თვითეულმა ქართველმა ერთნაირად იგრძნოს თავი ბაქოში, ერივანში და თბილისში, თვითეულ სომეხს თანაბრად უყვარდეს კავკავი, თბილისი და ერივანი და სხვ.—ტერიტორიალურმა და კონსტიტუციონალურმა აგებულობამ კავკასიის სახელმწიფოისა უნდა ნახოს გამოხატულება, შეთანხმებული ამ წინაწამძღვანებულთან. — არა ჭკვიანურ და სასაცილო ცდას ზოგიერთთა, რომ კავკასიურ ოჯახში აღასრულონ როლი რაღაც ამორჩეული ნათესავისა, წინა-მძღოლობის განსაკუთრებულ უფლებათა პატრონისა, შეუძლია მხოლოდ გამოიწვიოს საშიშარი შინაგანი გართულებანიო“ (რუს. „კავკაზი“ ნომ. 1/61, იანვ. 1939, გვ. 3). ჩვენ სრულიადაც არ გაგვიკვირდება, თუ ბევრი კავკასიელი სხვის ბუდეში უკეთაც იგრძნობს თავს, ვიდრე საკუთარში, —ეს უკონფედერაციოდაც გვინახავს, ხოლო „კავკაზის“ ქართველთ უნდა უმადლოდეს ქართველობა, რომ ზემოხსენებული საკვირველი კადნიერება და დაქადება გაბედა და სტყორცნა მას „კავკაზის“ პატრონმა. რატომაც არ უნდა გაბედოს! დაქადება მან არა ერთხელ ესროლა ქართველთ! ის კავკასიელნი, რომელნიც ქართველ - სომეხთა უბრალო კარგ განწყობილების ცდასაც ცალკე, არა კოლექტიურ-კავკასიურ „გამოსვლად“ სთვლიან და საწინააღმდეგო ბლოკით ექადებიან მათ, რომელნიც ქართველ მეფეთაც არ ასვენებენ საფლავებში და მენშევიკებთან ერთად ათრევენ, რომელნიც საქართველოს მიწებსა სჭრიან და „კეთილად განწყობილ“ მეზობელს აძლევენ, რამ უნდა შეაჩეროს მართებულ საზღვარზედ, რომ საქართველო კავკასიის კანტონთა კრებულად არ დასახონ მომავალში (იხ. ემუხვარის წერილი რუს. „კავკაზში“ ნომ. 5/65, ბერლინი, მაისი 1939, გვ. 11—16, სადაც იგი კავკასიის „კონფედერაციით“ აღარ კმაყოფილდება და შვეიცარიული „ფედერაციით“ გვაბედნიერებს; აგრეთვე ჰ. ბამატი, იქვე, გვ. 6, „კავკაზ“ №5/65), და თითი არ დაუქნიონ: შენი თავი კავკასიაში დიდი არაფერი გეგონოსო, თუ-კი მათ გვერდში ქართველნი უდგანან და თანხმობის ნიშნად თავს უქნევენ! მაგრამ გალაღებულთ და სილაღით ჭკუა წასულთ არც ეს შერჩებათ და მალე დარწმუნდებიან, რომ თვით წააგებენ და სასაცილო გახდებიან, ვიდრე საქართველოს ავნებენ რასმე! იმ საფუძვლის ნგრევა, რომელზედაც არის მხოლოდ შესაძლებელი კავკასიის პოლიტიკური ცხოვრების შექმნა, აი რა მიაჩნიათ დიდ პოლიტიკურ სიბრძნედ სილაღით გონება-დაბნეულთ!

5. აფხაზი ვ. ემუხვარი, რომელმაც აღნიშნა მისთვის „უეჭველი ფაქტი ქართული საზოგადოებრიობის სიკვდილისა (— საქართველოში კი არა, არამედ ემიგრაციაში!), აცხადებს, რომ აფხაზეთი შევიდა 1918 წ. საქართველოს სახელმწიფოში როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, ასე რომ საქართველოს რესპუბლიკას შეიძლება წოდებოდეს სრულიად სამართლიანად აბხაზეთ-იბერიის რასპუბლიკაცაო. საქართველოს კონსტიტუციის მე-107 მუხლი აფხაზეთის შესახებ რომ უფრო ნორმალურ პირობებში შემუშავებულიყო, იგი არსებითად იქმნებოდა შეცვლილიო. აფხაზეთის, როგორც იურიდიული პირის, უფლებათა დაცვა მოვალეობაა აფხაზეთის ინტელიგენტთა, და აქ მათ შორის სრული თანხმობააო. მე როგორც აფხაზი და ამასთანავე ქართველი ინტელიგენტი საქართველოსა და აფხაზეთის ინტერესებს პატიოსნად ვემსახურებოდი და ახლაც მოვალეობაა ჩემი, რომ ხელი შევუშალო ქართველ ინტელიგენტთაგან წაგებას საქართველოს ბედისა და მასთან ერთად აფხაზეთის ბედისაო. ასე მესმოდა ეს ორი საქმე ჩემი, ამიტომ გამოვედი 1918 წ. სოციალ - დემოკრატიული პარტიითგან და უარვყავი ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერა პარტიის ლოიალურ მოსამსახურეთა; ვცდილობდი ეროვნულ - დემოკრატთა წრეები დამერწმუნებია, რომ შეეკრიბათ აღმაშენებელი ელემენტები, მაგრამ დავმარცხდი ეროვნულ დემოკრატთა დამნაშავე უსინიდისობის გამო და სხვ. (რუს. „კავკ.“ ნომ. 2/50, თებ. 1938, გვ. 36—37).

ამგვარად, ემუხვარს 1918 წელს მოჰგონებია საქართველოც და აფხაზეთიც. მანამდე იგი სოც. დემოკრატი იყო (ჯერ ბოლშევიკი და მერე მენშევიკი) და ალბად არც ფიქრობდა არც ერთზედ და არც მეორეზედ. მისი აფხაზურ-ქართული მოღვაწეობა ეროვნულ - დემოკრატთა „დამნაშავე უსინიდისობით“ დამარცხებულა და ნიადაგის დიდი ხნის ძებნის შემდეგ ახლა ბამატის მიერ შექმნილ პირობებში კვლავ აღორძინებულა იგი და ნაყოფსაც შესაფერისს იღებს: ბამატის ბრძანებითა და სხვა „კავკასიის პატრიოტებთან“ შეთანხმებით საქართ-ოს ტერიტორიის თითქმის ნახევარს „არქეოლოგიურ მტვრად“ დასახვა და მისი გაჩუქების იურიდიული დასაბუთება, საქართველოს „ქრისტიან მეფეთა“ ქვეყნის დამაქცევარ პოლიტიკოსებად გამოცხადება და სხვ. აი, რა ყოფილა ემუხვარისათვის აფხაზეთისა და საქართვლოს სამსახური! სხვა ღვაწლი მისი კი ჯერ კაცს არ უნახავს!

იყო დრო, ოდეს აფხაზნი სხვანაირად ემსახურებოდენ საერთო, დიდ საქართველოს, მისი სახელმწიფოს შექმნის საქმეს, როდესაც აფხაზურ-ქართული პატრიოტიზმი მათი სხვანაირი იყო, ვიდრე ემუხვარისა. უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი ასეთ აფხაზთა განსვენებული გიორგი შარვაშიძე იყო. ახალი დროის აფხაზ-ქართველთა პატრიოტები ისევე გმირულად დაიღუპენ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც სხვა ქართველები. არც ერთი ნამდვილი ქართველი არ უარჰყოფს აფხაზეთის ეროვნულ უფლებათ საქართველოს საზღვრებში, სადაც აფხაზთა პოლიტიკური ცხოვრება მიმდინარეობდა მუდამ, დასაწყისითგან საქართველოს ისტორიისა. თუ რუსთა გაბატონების და მათი გამხრწნელი პროპაგანდის დროს აფხაზეთში დაიბადა ანტიქართული მიდრეკილება, რომელიც გაბოლშევიკებულმა ნაწილმა აფხაზთა აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფისა და რუსეთთან უშუალო კავშირის მისწრაფებამდე მიიყვანა, არა გვგონია და არც აფხაზის ინტელიგენტს ემუხვარს უნდა ეგონოს, რომ ამით აფხაზეთი უკეთეს გზას დაადგა, ვიდრე იყო ძველი გზა მისი. და თუ აფხაზეთისათვის უფრო ახლო მეზობლებთან, მთიელებთან კავშირი მიაჩნია საუკეთესოდ მის ზოგიერთ მამულიშვილთ, — საქართველოსაგან მაინც და მაინც ჩამოშორება, — რაიცა ცხადი გახდა კავკასიის განთავისუფლების დროს ახლო წარსულში, და თუ ემუხვარიც ამ ტალღისგან გატაცებული მიემხრო ბამატს,— დაუკვირდენ ეს აფხაზნი ერთს რასმე: უმიზეზო მოვლენა არ იყო, რომ აფხაზეთი ათასეულთა განმავლობაში საქართველოს ორგანიულ ნაწილს შეადგენდა; მისი როლი საქართველოს ისტორიაში ისეთი დიდი იყო, რომ მისი სახელით ერთ დროს მთელი დასავლეთი საქართველო იწოდებოდა და საქართველოს მეფეთ-მეფეთა ტიტულატურაში „მეფე აფხაზთა“ პირველად იყო ნახსენები. ასეთი ქვეყნის კავკასიონის გადაღმა წაღებას, ვეჭობ, სხვა შეგნების მქონე აფხაზნი დაუმძიმებენ ემუხვარსა და მის თანამოაზრეთ. ხოლო თვით ემუხვარსა და მსგავს აფხაზთ მოვახსენებთ: გზა დაგვილოცნია კავკავისაკენ, იქნებ მთას იქით გამოადგეთ ვისმე, მთის გადმოღმა კი „არ აფხაზად, არ ქართველად არად ვარგხართ არცა სხვად რად“!

6. ბამატის დიდ საქმეზედ აი რასა სწერს კიდევ ერთი კავკასიელი თავადი მ. ა. ტუგანოვი გერმანულ გაზეთ „ფრიდერიკუსში“: დღევანდელი საზღვრები ოსმალეთისა და კავკასიისა საბოლოოდ უნდა იყოს ცნობილი კავასიის ნაციონალისტთა ნებისაებრ, რათგანაც ყოველი გადასინჯვა ამ საკითხისა რასაკვირველია რუსეთის სასარგებლოდ გათავდებაო. — ამ აზრის წინააღმდეგნი არიან სომხის სოციალ-დემოკრატთა წრეები, ან ნაწილი ქართული სოციალდემოკრატიული პრესისა, რომლის ორგანო არის „პრომეთეუსი“ და რომლის მეთაური ჟორდანიაა. ეს წრეები თვით საბჭოებსაც კი აღიარებენ მოკავშირედ, თუ კი საბჭოები სამართლიანად სცნობენ, რასაც იგინი თურქთაგან მოითხოვენო. — მაგრამ აი გამოჩნილა ბამატი ჟურნალი „კავკაზით“ და იბრძვის კავკასიის ერთა ერთობისათვის და კავკასიის რუსეთისაგან განთავისუფლებისათვის. ამისთვის სჭირდება მას მეგობრობა ქამალ-ფაშის ოსმალეთთან. ბამატი 1918—1919 წლ. საგარეო საქმეთა მინისტრი იყო „დამოუკიდებელი კავკასიის რესპუბლიკისა“ (ასეა!); იგი დაუძინებელი მტერია ბოლშევიზმისა, შემაერთებელი ყველა კავკასიის ერთა სხვა და სხვა სარწმუნოებისა და ენისა; დასანგრევად განწირულ საბჭოებს ეს ბლოკი უნდა დაუყენოს მან წინ, და ესევე ბლოკი იქმნება საფუძველი [illegible] კავკასიისა, რომელიც შვეიცარიის მსგავსად სწორუფლებიანი კანტონებისაგან იქნება შემდგარი, ბუფერი რუსეთსა და ოსმალეთს შორისო. — ერთ ადგილს ტუგანოვი აგრეთვე ამბობს: კუთვნილება გერმანული რასისადმი იმაშიაც სჩანს, რომ ყოველი დამარცხების მიზეზი იყო ძველი, გერმანული რასის მემკვიდრეობითი ცოდვა, ერთობის უქონლობაო... (იხ. ნომ. 3, 22 იანვ. 1939). — მიზანი ამ ტირადებისა? ბამატი დიდი შემაერთებელი კავკასიის ერთა, დიდი მოწინააღმდეგე ბოლშევიზმისა, დიდი პოლიტიკოსი და გამამტკიცებელი ურთიერთობისა მეზობლებთან, — ეს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი „დამოუკიდებელი კავკასიის რესპუბლიკისა“ და თვით... გერმანული რასის თუ რომელი გერმანული რასის ხალხთა წინამძღოლი კავკასიაში, ეს ველარ გავიგეთ! ხოლო სომხის სოციალ-დემოკრატია (?!) და ქართველი ნ. ჟორდანია, ყოფილი პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკისა — ქვეყნის ამომგდები და ახლაც განმზადებული ბოლშევიკებთან კავშირისათვის, თუ კი იგინი მათ ოსმალეთის წინააღმდეგ დაუჭერენ მხარს! — აი, რა უნდა ემცნოს ევროპას, გერმანიას!...

ვგონებ უნდა კმაროდეს ბ. შ. ამირეჯიბისათვის ციტატები და აღნიშვნა მისი წრის ჟურნალების ნომერთა, მის თანამშრომელთაგან „კოხტად“ გამოთქმულ აზრთა. მეტის თქმაც შეიძლებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა: საქართველოს მართლმადიდებელ მეფეებს დაუღუპავსთ და ამოუგდიათ საქართველო და კავკასია, შემოურტყამსთ რკალი ისლამის სახელმწიფოებისათვის, მიუსევიათ მათთვის რუსეთი და დაუსუსტებიათ იგინი! ქართველი ერის, ამ აზიური ერის, სულელურმა წარმოდგენამ, თითქოს იგი ევროპის ერი ყოფილიყო ოდესმე, ან იყოს დღეს, შექმნა მის პოლიტიკოსთა სულელურივე დასავლეთის ორიენტაცია და ამით გამოუთხარა ძირი საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებას! ქართველი მენშევიკები და სხვა ნაციონალისტები დასავლეთის ორიენტაციისა ისეთივე სულელი და დამნაშავე პოლიტიკოსებია, როგორიც იყვნენ წარსულში საქართველოს „მართლმადიდებელი მეფეები“, ამ მეფეებსავით მათ კვლავ დაღუპეს საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობა და დაღუპვენ ყოველთვის, როდესაც კი ქვეყნის საჭეთ-მპყრობელობა ექმნებათ: სხვანაირად რომ ვსთქვათ, საქართველო ღუპავდა ყოველთვის თავის თავსა და კავკასიასაც და დაჰღუპავს კვლავ! ამისათვის არის საჭირო საქართველოს ამ დასავლური გზითგან გადაყენება, შემორტყმა მისი ჩრდილოეთითგან და სამხრეთითგან მაჰმადიანური რკალით, „თურქებთან კარგი განწყობილებისათვის“ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის ოსმალეთის კუთვნილებად აღსარება სამარადისოდ, მიწა-წყლით შემცირებული საქართველოს კავკასიის ოთხ-ოთახიანი ოდის ერთ ოთახად ქცევა (საითგანაც იგი ვერ გამოვა და თავისუფლად ვერ იმოქმედებს, რომ თვისი საუკუნოებით განადგურებული ბდგილები დაიბრუნოს და აღადგინოს), რასაკვირველია ალბათ ამ ოთახის მრავალგან გატიხვრაც შიგ შეხიზნულ არა ქართველთა უფლებათა დასაცავად, თურქული და სხვა კორრიდორებით და სხვ. და კიდევ ბევრი მსგავსი რამე აქვსთ ალბათ სათქმელი ამ გამაბედნიერებელთ საქართველოსა და კავკასიისა, მაგრამ ჯერ ვერ გაუბედნიათ სთქვან. შეიძლება კონფედერაციის საერთო ენად თურქულიც შემოგვიკვეთონ!...

მაგრამ ერთი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია, და ჩვენც ერთობ კერძოდ კმაყოფილნი უნდა ვიყოთ მით, რაცა სთქვეს ამ „ძმებმა“ და „მეგობრებმა“ ქართველთა: ვიცით ვისთანაცა გვაქვს საქმე, და გულახდილად მოვახსენებთ, რომ ასეთ „კონფედერაციაზედ იქ იყბედონ, სადაც მსგავსის რაისამე ნიადაგია, ხოლო საქართველო და ქართველი ერი მათი სასაცილოდ ასაგდები არ არის, და რომ გულწრფელნი და ჭკვიანნი პატრიოტნი ყოფილიყვნენ კავკასიისა და ნამდვილად მოსურნენი მის ერთა პოლიტიკური ერთობისა, მსგავსი ზემოხსენებულ კადნიერებათა თავში არ მოუვიდოდათ და მათი რახუნით მოთმინებითგან არავის გამოიყვანდენ! ჩვენ იმედი სრულიადაც არ დაგვიკარგავს, რომ კავკასიელთა შორის არიან აგრეთვე ისეთნი, რომელნიც სხვანაირად ფიქრობენ, და დადგება დრო, როდესაც ისინი იტყვიან ნამდვილ სიტყვას, ქართველებთან ერთად გაიკაფავენ ძლიერ ძნელ გზას ჩვენთვის ყველასათვის სასურველი პოლიტიკური ერთობისა, ხოლო „კავკაზის“ წრემ ყველაფერი ჰქმნა იმისათვის, რომ მისგან წარმოდგენილ „კონფედერაციაზედ“ სერიოზული მსჯელობაც კი შეუძლებლად გაეხადა ჩვენთვის!

კიდევ ერთი რამ არის აქ ძლიერ საყურადღებო ჩვენ, ქართველთათვის: რაც თუ გინდ შემცდარი და კადნიერი იყოს აზრები ჩრდილო კავკასიელთა და ადერბეიჯანელთა, მათ ნაწერებში და ნათქვამში არის სისტემა, მიზანი, გეგმა კავკასიის მომავალი პოლიტიკური ცხოვრების მოწყობისა და სხვა, ხოლო რასაც ქართველი თანამშრომლები როშვენ, პირდაპირ სასოწარმკვეთია ქართველი მკითხველისათვის! არას ვიტყვი ბ-ნ ზ. ავალიშვილის წერილებზედ, — მათ თავიანთი მნიშვნელობა და აზრი აქვს, ხოლო ბ-ნი ზურაბიც მხოლოდ ერთხელ შეეხო „კონფედერაციის“ საკითხს („შვეიცარული ჰანგები კავკასიური სალამურით“, იხ. რუს. „კავკაზ“ ნომ. 3/63, მარტი, 1939, და ქართ. „კავკასია“ ნომ. 3/22, მარტი 1939), და ბოლოს და ბოლოს იგივე სთქვა, რაც მე ვსთქვი ჩემ პირველ წერილში და რისთვისაც „კავკასიელთა“ რისხვა მეცა! მაგრამ ერთი გადაიკითხოს ვინმე დანარჩენ ქართველ მწერალთა „ნაწარმოებნი“ „კავკასია“ - „კავკაზში“, ან თვით ავტორებმა გადაიკითხონ! ღმერთმა იცის, რასა სჯღაბნიან, ხოლო „კავკასიის კონფედერაციის“ საკითხზედ წერას რაღაც მიზეზით გაურბიან, ან და სწერენ ისე, რო-

გორც სხვა წერილებს, რომელთა მნიშვნელობა და ღირსება უდრის არარაობას მრგვალისა ნულისა! ასეა, როდესაც ადამიანს კალმის ტრიალის დროს არც რწმენა აქვს, არც აზრი და არც სინიდისი! ან და რომელი რწმენით ალსავსე ქართველი პატრიოტი მწერალი აიღებს კალამს ხელში „კავკაზის" მიზანთა სამსახურისათვის! განუწყვეტელი გინება ჟორდანიასი და საქართველოს „მენშევიკური მთავრობისა" სწორედ ამ უგუნურ მიზანთა სამსახურისათვის, მუდმივი ცდა, რომ ქართველთა შორის შექმნას გრძნობა თვისი ეროვნული უღირობისა, — აი რა შესძლეს მხოლოდ „კავკასიის" ქართველმა თანამშრომლებმა წელთა განმავლობაში ნაცვლად კავკასიის ერთა ერთობის პრობლემათა გარკვევისა, და რა პატივის-ცემა უნდა ჰქონდესთ მათ თვით ჩრდილო კავკასიელ და ადერბეიჯანელ კოლლეგათაგან?! მათ არა თუ ქართველი ერის პატივი, არამედ საკუთარი პატივიც ვერ დაიცვეს, და გააბედვიეს მეზობელთ საქართველოს და ქართველთა მიმართ ის, რაც მათ აროდეს გაუბედიათ და ვერც გაბედავდენ, გულში რაც არ უნდა ეფიქრათ, რომ ქართველ თანამშრომლებს მცირე რამ ინტერესი თვით საქმისათვის და მცირე შეგნება ეროვნული ღირსებისა მაინც გამოეჩინათ! და ვინც ერთხელ გაბედა საქართველოს აბუჩად აგდება, იგი უფრო კადნიერად და მტკიცედ დაადგება გაკაფულ გზას. შედეგი ამისა ცხადია, ხოლო ამ გზის გამკაფველ ქართველთ ეს აროდეს მიეტევებათ, იცოდენ!...

მე „კავკაზელებს" იგივე ვუთხარი, რაც ყველამ, ყველა პარტიისა და ჯგუფის ქართველებმა, ჯერ დიდი კრძალვითა და გულწრფელი პატივისცემით, სახელიც კი არ მიხსენებია არავისი! მათ იწყინეს და მიპასუხეს კბენითა და შეურაცხებით. მერე მეც იძულებული ვიყავი, უფრო მკაცრად მეპასუხა, მაგრამ არავითარი შეურაცხება და უსამართლო ბრალი მათ ჩემგან არ დასდებია. მათ კვლავ მიპასუხეს მეტი შეურაცხებით, ცილის-წამებით და შესმენით, და ამიტომ იძულებული ვარ, არა მარტო დავუმტკიცო მათ მათგანვე მოთხოვნილ ციტატებით, რომ ჩემი მხილება მართალი იყო, არამედ ზოგი რამ მათ მიერ ჩემ შეურაცხებაზედ და შესმენაზედაც ვუთხრა:

იმ ამბავის გამო, რომელიც მოხდა შარშან პარიზში შობის სალამოს, თუ ვისმე უმწარესად ეტკინა გული, მე გახლდით. მე თვით ვუამბე ბ-ნ შ. ამირეჯიბს აქ, ბერლინში, რაც გამეგონა, და მან ნახა, რა გუნებაზედაც ვიყავი. მან კი ცივად მოისმინა ყველაფერი და ვიგრძენ, რომ რაღაც დაებადა თავში. მაგრამ თუ მაშინდელი მისი ნააზრი მისი წერილი შეიქმნებოდა სათაურით „ზურაბ ავალიშვილი" (ქართ. „კავკასია" № 1(20), იანვ. 1939), ამას კი არ მოველოდი. მას შეეძლო ცალკე წერილი დაეწერა ზურაბ ავალიშვილის დასაფასებლად, ცალკე წერილი კიდე ჩემ გასალანძღავად, მაგრამ სარგებლობა იმ ამბითა და მით, რომ სწორედ იმ დროს ჩემმა მეგობრებმა სამოცი წლის შესრულება მომილოცეს, გადაბმა ამ ორი მომენტისა ურთიერთზედ, შედარება ბ-ნ ზურაბისა ჩემთან, მისი ქება და ჩემი ლანძღვა და გადაკრულები, თითქოს ჩემი, „იუბილარის" წერილები „თ. გ."-ში იყო მიზეზი „კავკასიელებზედ" თავდასხმისა, — წერილები, რომელთაგანაც არც ერთი არას შეიცავდა ისეთს, რომ ვინმე მათი წაკითხვის შემდეგ ვისმე დაცემოდა, და რომელთაგანაც მეორე სწორედ იმ სალამოს იხილა საზოგადოებამ „თ.გ". დარიგების შემდეგ და წაკითხვასაც ვერ მოასწრებდა, — ყოვლივე ესე მართლაც შირაზული ინტრიგაა, რომელიც თვით ბ-ნ შ. ამირეჯიბს ამცირებს. „კავკასიის" რედაქციაში კაცი არ გამოჩნდა, რომ ბ. შ. ამირეჯიბისათვის ნამუსი შეენახა და მისი წერილი არ დაებეჭდა. პირიქით, მისი წერილიც დაიბეჭდა და ემუხვარმა და „ყველგან დამსწრემ" მისი მიბაძვით კიდევ უარესი იკადრეს (იქვე: „პასუხი მ. წერეთელს" ემუხვარისა და „შობის ხე" ყველგან დამსწრესი). მაგრამ რა მიზანს მიახწია ამით ბ. შ. ამირეჯიბმა? ზ. ავალიშვილის ინტელექტი, ნიჭი, ცოდნა, მამულიშვილობა, მომიტეოს ბ. შ. ამირეჯიბმა, შეიძლება მე უკეთ ვიცოდე ვიდრე მან და მე უკეთ ვაფასებდე მათ, ვიდრე ის. მე ბ-ნი ზურაბისადმი ღრმა მეგობრული გრძნობაც მქონდა და კარგი განწყობილება. ხოლო თუ სადმე არ ვეთანხმებოდი მას, პირადადაც მითქვამს და დამიწერია კიდეც, მაგრამ მას აროდეს სწყენია რა ჩემგან, რათგანაც მან იცოდა, რომ ყოველი ჩემი სიტყვა მისადმი მიმართული წრფელი იყო. რად ჩამოეჩხირა ბ. შ. ამირეჯიბი ჩვენ შორის და ჩააწვეთა შხამი ჩვენს განწყობილებაში, ის ადამიანი, რომელსაც მისი ბუნება ხვალ იმას დააწერი[illegible] და კიდევ უარესს ბ-ნ ზურაბზედ, რაც ჩემზედ დასწერა, და ჩემზედ, რაც ბ-ნ ზურაბზედ ბრძანა, თუ დრო დაუდგა კეხის შებრუნებისა! თვისი შხამის მოქმედებით არის კმაყოფილი ბ-ნი ამირეჯიბი? არც ეს კმაყოფილება იქმნება ხანგრძლივი, ხოლო საქმე მისი კი ქაღალდზედ დარჩება დაბეჭდილი, ვარწმუნებთ, არა მის სასახელოდ. და რად უნდა ბ. ზურაბს მისი ქება, მერე ჩემთან კომბინაციით! ხოლო ბ-ნ ამირეჯიბის მიერ ჩემ დაფასებას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს! მაგრამ მაინც საინტერესოა თუ რა ვყოფილვარ ბ. ამირეჯიბისათვის: პრანჭია ნაციონალისტი, დეკლამატორი, დიდი საქართველოს იდეალის ქოთნად დამსახავი, რომელსაც „ცარიელი ენით" ვლოკავ, მოყვარე ისეთი საქართველოსი, რომელიც — რატომ სხვანაირი არ არის, რატომ სხვანაირი არ იყო?! მოყვარე სამშობლოსი უნაციონალიზმოდ, პატრიოტი, რომლის ნაციონალიზმს ეროვნულ იდეოლოგიასთან და მით უმეტეს მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო, დემაგოგი და მამულიშვილობაში სიტყვით და არა საქმით პირველი ჯილდოს აღების ხერხის მხმარებელი, და ბოლოს, რასაკვირველია, მარქსიზმის დამცველი! ღმერთო ჩემო! კიდევ რა? — ამას ემუხვარი და „ყველგან დამსწრე" იტყვიან!—ხოლო ბ. ამირეჯიბისათვის იმიტომ ვარ დემაგოგი და დეკლამატორი რომ 35 წლის განმავლობაში დემაგოგიას ვებრძოდი საქართველოში და აქ? იმიტომ ვარ უნაციონალიზმო პატრიოტი, რომ თუ ვინმემ ნაციონალიზმზედ რამე სთქვა საქართველოში და აქაც, ერთი მთქმელთა შორის მეც ვიყავი და ჩემს სახელს მათ რიცხვს ვერავინ გამოაკლებს?

მაშ ვის ნაციონალიზმს აქვს ეროვნულ იდეოლოგიასთან საერთო თუ არა ჩემსას, რომელს? ბამატ-ამირეჯიბისას? მაშ თუ სამშობლოს დიდებას წარსულში მისტირის ქართველი, ან აწმყოში დაკნინებულის აღდგენისა და განდიდებისათვის იბრძვის, სიყვარული არა ჰქონია მისი გულში და მეც შახ-აბაზისა და ოსმალეთის ფაშების მიერ განადგურებული საქართველო უნდა გავიხადო იდეალად, ან და საქართველო — მეოთხე ოთახი ბამატის ოთხ - თვალიანი კავკასიური ოდისა, რომლის სივრცეც დასავლეთისაკენ შეიძლება ლიხამდე მისწვდეს მხოლოდ, თანახმად ზოგიერთი ქართველი „ნაციონალისტის" ქართული შეგნებისა და გრძნობის სივრცისა! იმიტომ ვიცავ მარქსიზმს, რომ ნამდვილი მიზეზი „კავკაზში" საქართველოს „მენშევიკური მთავრობის" დაჟინებული ლანძღვა-თრევისა და მიზანი „კავკაზელთა" ამ უსინიდისო ხერხისა ნათელია ჩემთვისაც, როგორც ყველასათვის? რას აქნევენ „კავკაზელები" ჩემ „პროფესორობას", ჩემ „მეცნიერებას"? პროფესორის ტიტული მე ტფილისის უნივერსიტეტმა მომცა, ევროპის უნივერსიტეტებს იგი ჩემთვის არ აუხდია! თბილისში მე მქონდა ასსირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა, აქა მაქვს მხოლოდ დავალება ძველ ქართულ ენასა და მწერლობაზედ ლექციების კითხვისა. რა ხელი აქვს „კავკაზს" ან ერთთან ან მეორესთან ჩემ „მეცნიერებათა", ან რა დამოკიდებულება აქვს მათთან „კავკასიის კონფედერაციას"?! ხოლო ვინ და ვის ქოთანს ტლაკავს და რა გვარი ენით, ეს ძალიან კარგად იცის ყველამ და კვლავ ვაფრთხილებ ქართველ „კავკაზელებს", ქოთნითგან ამონატლაკი თაფლი არ გაუმწარდესთ და მერე ეს სხვის „პროვოკაციებს" არ დააბრალონ! მამულიშვილობისათვის პირველი ჯილდოს მიღებას ვცდილობ? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მამულიშვილობისათვის კარგი ხანია საქართველოში ქართველთაგან ჯილდო არავის მიუღია. მეც ისე მოვხუცდი, რომ ჩემი ქვეყნის მოსამსახურე უბრალო ჯარის კაცად ვთვლიდი ყოველთვის ჩემ თავს და ჩემი ერთად ერთი და უძვირფასესი ჯილდო ეს შეგნება იყო ჩემი მოვალეობისა, რომელსაც „სიტყვითაც" ვასრულებდი და „საქმითაც", რაოდენი ძალაც შემწევდა. ბ-ნი ზურაბ ავალიშვილი სწერს თავის წიგნში „საქართველოს დამოუკიდებლობა" (რუს. პარიზი 1929, გვ. 77): გავეცანი ქართველ ჯგუფს ემიგრანტთა, აქ (ბერლინში) მყოფთ დასაწყისითგან ომისა, რომლისაგანაც იგინი მოელოდენ „რაღაც ნაირად" (!) სამშობლოს განთავისუფლებას. ყველას იგინი მიაჩნდა გადარეულებად, მაგრამ ახლა მათ ჰგონიათ, რომ სწორედ იგინი იყვნენ მართალნი. შეცდომა! რაც აუცილებელი გახდა და რასაც აზრი ჰქონდა 1918 წლის პირობებში, 1917 წლის ამბავთა შემდეგ, იგი იყო უსაფუძვლო, უნიადაგო, და ამიტომ უშედეგო 1914—1917 წლებში. თუმცა მათმა მუშაობამ, მათმა პროპაგანდამ ბევრი რამ შეამზადაო". აი ასეთი ჯილდო მოგვხვდა „საქმისათვისაც", და არც გვწყენია ეს „ჯილდო", მხოლოდ ცოტა გაგვაკვირვა ბ. ზურაბის ამ უცნაურმა მსჯელობამ, და თუ ბ. ზურაბისაგან ასეთი ჯილდო მივიღეთ, ბევრთა სხვათაგან როგორი და უნდა მიგველო?... დღეს კი სწორედ იმავე „საქმის" გაკეთება უნდათ ქართველ „კავკაზელებს", რომელსაც ჩვენ მაშინ ვაკეთებდით, მაგრამ უმსგავსოდ დაიწყეს. ჯილდოდ კი აღმაშენებელთა ტიტულს გვთხოვენ დალოცვილნი, რომელთაგან ჯერ გაკეთებული არა გვინახავს რა, ხოლო წამხდარი და გაოხრებული — თვით იდეა მათი, თითქოს მათი ხელმძღვანელი! და ყველა ზემოხსენებულს გვეუბნება ოდესმე „მარილის კვნიტი" მენშევიკების ქოთანში ჩავარდნილი მათი წყლის დასამარილებლად, უდიდესი შემსხმელი და შემამკობელი ნ. ჟორდანიასი! დღეს მე ვარ „პრანჭია ნაციონალისტი", ხოლო 1926 წელს აი რასა ბრძანებდა ეს მენშევიკების „მარილის კვნიტი" „დამოუკიდებელ საქართველოში" № 9 („სუტ-კნეინები და პოლიტიკური პრანჭიები"):

„ჩვენში არიან პოლიტიკური პრანჭიები, რომლებიც წუნის უთქმელად სიტყვას არ სძრავენ და იმ საქართველოს უწუნებენ პოლიტიკას, რომელსაც ამ საერთო ორომტრიალში და უთვისტომო ქვეყანაზედ დაკარგული თავისუფლების მეტი არაფერი გააჩნია! რა არის ეს, მამულიშვილობა, საქმის გულშემატკივრობა? ეს ჩვენი ძველი ავადმყოფობაა, ჩვენი ძველი ქართული „მე გახლავარ", რომელიც მუდამ ღუპავდა საერთო საქმეს და ემიგრაციაში წამოსაღები არ იყო" და სხვ. — ბოლშევიკები „ვერასოდეს ვერ გაიგებენ, რა აზრისა ვარ კიდევ ჟორდანიაზედ, წერეთელზედ და რამიშვილზედ, გარდა იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში, ჩვენში რომ იტყვიან, ერთმანეთში წყალი არ გაგვივაო"(იქვე). დახედეთ, საითგან ჰქონია შემონახული ბ. შ. ამირეჯიბს ტერმინი „პოლიტიკური პრანჭია"! წინად, როცა თვით ჟორდანიასთან ბრძანდებოდა, ეს პრანჭიები ჟორდანიას წინააღმდეგნი ყოფილან, ახლა კი, როცა ბამატთან ბრძანდება, ბამატის წინააღმდეგნი, ხოლო თვით ჟორდანია, რომელთანაც წინად სამშობლოს დამოუკიდებლობის საკითხში „წყალი არ გაუვიდოდა", დღეს უდიდესი მტერი სამშობლოსი! მაგრამ ჟორდანიათგან ბამატამდე სულის მოგრეხა, — ეს ხომ მართლაც უაღრესი ხელოვნებით გამოცხადებაა პოლიტიკური პრანჭვისა და მანჭვისა და როგორც სხვა სახის გვლარძნილობაში, ისე აქაც პირველი ჯილდო სწორედ ბ. შ. ამირეჯიბს ეკუთვნის!

მერე რა შეიცვალა ნ. ჟორდანიას ირგვლივ ბ. შ. ამირეჯიბის „ფრონტში" ყოფნის შემდეგ? თვით შ. ამირეჯიბისავე სიტყვით (ქართ. კავკ. №1 (20), 1939, გვ. 8): „აწიოკებული" „ნაციონალისტები", „ფაშისტები", „მონარქისტები" მენშევიზმთან, ნ. ჟორდანიასთან მირბიან ისე, როგორც თვით იგი მირბოდა წინად, არა ერთხელ. ბ. შ. ამირეჯიბს უკვირს ეს მოვლენა და ავიწყდება მიზეზი იმისა, თუ თვითონ სად მირბოდა წინად, რა „აწიოკებდა" მას. დღეს კი მან ბამატი ნახა სხვანაირად „აწიოკებულმა", მაშასადამე სხვა სფეროში გადვიდა და არავინა ჰკითხავს ქართული ემიგრაციის საქციელს, ჟორდანიასთან მიდიან საერთო მოქმედებისათვის სხვა და სხვა ჯგუფები თუ ჟორდანია მიდის მათთან. ყოველ შემთხვევაში, „თ. გ."-ის იქით პირი არ უქმნია და არც ჩვენთან მოსულა არავინ. სხვა ჯგუფებს ემიგრაციისა თუ გაერთიანება უნდა, ჩვენ ესეც ბუნებრივ მოვლენად მიგვაჩნია და ვუსურვებთ მიხწევას მიზნისა, თუ კი რასმე მიახწევენ საერთო ძალებით, ხოლო თუ ბ. ამირეჯიბმა პირი იბრუნა მათგან, უსათუოდ არა იმიტომ, რომ წინააღმდეგი იყო ემიგრაციის ჯგუფთა და პარტიათა საერთო მოქმედებისა, იგი თვით იყო თანამშრომელი მათი! და აი რა არის აქ ერთი რამ ფრიად საეჭვო: ბ. შ. ამირეჯიბს ჩვეულებად აქვს ჩივილი, ემიგრანტები გაგიჟდენ, ყველა სწერს, ოფლით ნაშოვნ ფულსა ხარჯავენ გაზეთების გამოსაცემლადაო, მე კი მწერალი კაცი ვარ, ფული მაქვს და ვსწეროო! ახლა ეს მისი აღშფოთება მიმართულია ყველა ანტი-კავკაზელთა წინააღმდეგ, წინად კი იგი ამავე აღშფოთებით მიმართავდა ჟორდანიას ფრონტის მოწინააღმდეგეთ: „წერას ვერვის აუკრძალავ, ემიგრანტები სწერენ და, უნდა ითქვას, ბევრსაც სწერენ"ო, ამბობდა იგი (იხ. იგივე წერილი „დამ. საქ."-ში). მსგავსად „პოლიტიკური პრანჭიაობისა" ეს საყვედურიც ძველითგან ჰქონია შემონახული ბ. ამირეჯიბს, რომ იგი იქითგან ესროლოს მოწინააღმდეგეს, სადაც თვით მოისურვებს დაბრძანებას. კარგია, თქვენმა მზემ! ვინც ოფლით ნაშოვნი ფულით თავის იდეას ემსახურება, დასაძრახი ყოფილა, ვისაც ფული აქვს და სწერს, ის საქები! ეგეც ახალი სწავლაა, თუ გინდ იმ მხრით საინტერესო, რომ ნათელ-ჰყოფს მიზეზს ბ-ნი ამირეჯიბის გაბამატისტებისა: ალბად მენშევიკების წრეში გურული კვაწია არ დაუჯდა ჭკუაში და „კავკაზის" „წრეში" დიდ ქოთანს მოუჯდა, რომ „მწერალმა კაცმა" უფრო ლაღად სწეროს! მაგრამ თავს რომ კაცი მწერლად უწოდებს ასე ამაყად, თუ ზურგს უკან რაიმე აზრი ან ნახელოვნარი არ ეგულება, ყოველ შემთხვევაში თვით სიტყვას „მწერალს" ერთნაირი პატივით მაინც უნდა ეპყრობოდეს!...

რა ვყოფილვარ ემუხვარისათვის? — მიმდევარი გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმის რასისტული მოძღვრებისა და ამით მიმდგომი კავკასიის კონფედერაციის საკითხებისადმი (რუს. კავკ. № 3/63, 1939, გვ. 22), სხვებთან ერთად დემაგოგი, რომელიც დემაგოგიური ხერხებით და ფანტაზიებით ვებრძვი „რეალური პოლიტიკის" პატრიოტებს, და არა როგორც ისეთი კეთილშობილი გერმანელი (?) პატრიოტი, როგორიც იყო ნაციონალ სოციალისტებისაგან განძარცული თეოდორ ვოლფი, რომელმაც შურიც არ იძია კალმით მაინც თავის მოსისხლე პოლიტიკური მტრებისა და სხვ. (ქართული „კავკასია" ნომ. 3)22), მარტი 1939 „მაგალითისათვის"), ოდესღაც ანარქისტი და დღეს „ფაშისტი" ავანტურისტულ დოქტრინების ფორმულებით (რუს. „კავკაზი", ბერლინი, ნომერი 5/65, გვ. 14), მენშევიკების მომხრე, ოდესღაც მათგან მონათლული ბოლშევიკების აგენტად, დემაგოგიურ პროვოკაციათა მქნელი, 1905 წელს დემაგოგიასთან მყოფი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ — ჩემი დუმილით, და სხვ. (ქარ. „კავკასია" №1(20), 1939, გვ. 10);

„ყველგან დამსწრისათვის": პროვოკატორული წერილების ავტორი „თ. გ."-ში, რომელმაც ხელი შეუწყო ცნობილ თავ-დასხმას, სპ. კედიასთან ერთად ბრმა იარაღად გამოყენებული ბნელი საქმის სამსახურისათვის მენშევიკების მიერ და სხვ. (იქვე, გვ. 36); და ბოლოს ბ. შ. ამირეჯიბი დასძენს: (მ. წერეთელმა) ისიც გულახდილად მაგრამ არა გულუბრყვილოდ განაცხადა, რომ ყველა „მოთმინებითგან გამოსულ" ქართველს თურმე უფლება ჰქონია „გადააჭარბოს" და გვიწოდოს არა მარტო „მოღალატე", არამედ „მეტიც შეგვკადროს", მაგრამ აღარ განმარტა, — შეგვკადროს სადამდის, რა საზღვრამდის, შურის-ძიების რომელ ხარისხამდისო?!" (იქვე, გვ. 8).

აი ჩემი პასუხი: რასისტი ყოველთვის ვიყავი, მით უმეტეს ახლა ვარ, როდესაც იგი მეცნიერულად ჩამოისხა უკეთ და უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა ერთა ცხოვრებისა და საერთაშორისო განწყობილებათა მოწყობის საქმისათვის. არა თუ კავკასიის „კონფედერაციის" პრობლემის გარკვევის დროს აქვს რასიზმს მნიშვნელობა, არამედ ბევრ „ქართველსაც" ცუდ გუნებაზედ დააყენებს იგი, თუ ოდესმე საქართველოს განახლების საქმე მისმა ბედმა ფაშისტებს არგუნა მოვალეობად!... ეს დაინახსოვროს ბ. ემუხვარმა ჩემგან, „დღეს ფაშისტისაგან"... აგრეთვე კეთილ ინებოს მან და იგივე „რასიზმი" მოაგონდეს, როდესაც „ბერლინერ ტაგებლატტის" ურიების პატრიოტიზმსა და კეთილშობილებას მაგალითად გვისახავს, ვინაითგან თეოდორ ვოლფს იგი ჩვენ, რასისტთა იდეალად ვერ გახდის, ხოლო თავის თანამოაზრეთ დიდად ავნებს იმ ქვეყანაში, რომლის საქმეთა და განწყობილებათ იტალიასთან და მის დიდ წინამძღოლთან, მუსოლინისთან ემუხვარს არავინ ეკითხება! ხოლო რომელ „ავანტურისტულ დოქტრინებს" გულისხმობს აქ ემუხვარი? რასაკვირველია ფაშისტურს, ნაციონალ-სოციალისტურს! და აი მართლაც წმიდა წინა-აზიური, ურიული კადნიერება ემუხვარისა, რომელიც მისი ორგანოს „კავკაზის" მასპინძელთა დოქტრინებს ათრევს! — აფხაზის წინა-აზიელობა აქ სრულიად უდრის წინა-აზიელობას მისი პატრონის, დაღესტნელისა, რომელიც, მიუხედავად ოსმალეთის აშკარა გადასვლისა გერმანია-იტალიის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, თურქოფილობს გერმანიის სატახტო ქალაქში გამოცემულ „კავკაზში" და უჩუჩხურებს გერმანიის მოკავშირეს, იტალიას (იხ. რუს. „კავკაზი" ნომ. 5/65, ბერლინი, გვ. 3—7). კადნიერება ამაზედ შორს ველარ წავა! ჩემი ოდესღაც გულუბრყვილო, ბავშური ანარქიზმი ყოველთვის ანტიმარქსისტული მაინც იყო, უფრო კეთილშობილი და უეჭველად ნაკლებად მავნებელი, ვიდრე ბოლშევიზმი და მენშევიზმი ემუხვარისა, რომელმაც მისივე სიტყვით სოც. დემ-[illegible] 1918 წ. დაანება თავი, ხოლო 1905 წ. ჩემი დემაგოგებთან ყოფნა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, ჩემი დუმილით, არ მესმის რომელი [illegible] ბოდვაა და მოვახსენებ ბ. ემუხვარს:

„თუ არ შმაგი ხარ, დამეხსენ, შმაგი ხარ, მოდი ცნობასა"!

მე და სპ. კედია ვიყავით მენშევიკების მიერ ბრმა იარაღად გამოყენებული ბნელი საქმეებისათვის, თუ თვით „ყველგან დამსწრე" და მისი ახლანდელი თანამოაზრეები, ამას ფრონტის კაცთა სიაში ნახავს, ვინც მოისურვებს, და ახლა რომელ „ნათელ ძალებს" ემსახურებიან იგინი და რომელი „ნათელი საქმისათვის", ეს ზემოხსენებულითგანა სჩანს. ხოლო ბ. ამირეჯიბის კალამი ხომ ბ. ამირეჯიბის კალამი არ იქმნება, თუ მრუდედ არა თქვა რა: არავითარი მსგავსი იმისა, რასაც შ. ამირეჯიბი სწერს, მე არ გამიცხადებია, არამედ: „ჩვენ „კავკასიელებისათვის" მოღალატეები არ გვიწოდებია მათ მიერ ჩადენილ ცოდვათათვის და არც ვუწოდებთ აროდეს, უკადრისს არ ვიკადრებთ და არც არავის ვაკადრებთ, მაგრამ ყოველთვის უნდა მოელოდენ მიუღებელ აზრთა გამავრცელებელი „კავკასიელები", რომ ვინმე მოთმინებითგან გამოსრული გადააჭარბებს და მოღალატეებსაც უწოდებს მათ და მეტსაც შეჰკადრებს. ყოველ შემთხვევაში ტაშს ვერავინ დაუკრავს და ვერც ჩვენ დავუკრავთ!" — აი რა განვაცხადე, და ეს განცხადება იყო გაფრთხილება მათი, რომ წლების განმავლობაში მათგან აღელვებულ და მოთმინებითგან გამოსულ ქართველობას მათთვის სხვანაირი პასუხი არ მიეცა. სანამ ჩემ წერილებს დავწერდი, აღელვება სხვა ჯგუფთა პრესაში უკვე უმწვერვალეს ხარისხამდე იყო მისრული. შ. ამირეჯიბი კი არწმუნებს მკითხველს, თითქოს მე **უფლება** აღვიარე მოთმინებითგან გამოსრულთა... რისა? — მათი დახოცვისა! ეს არის ნაგულისხმევი მის ნაეშმაკარში, ტერრორისტადაც კი უნდა გამომიყვანოს! მე „კავკაზი" გავაფთხილე აგრეთვე, რომ მოთმინებითგან გამოსრულმავე ქართველებმა მეზობლები არ გალანძღონ მისი უტაქტო წერის წყალობით, და მაშ შ. ამირეჯიბის აზრით მათთვისაც **უფლება** მიმიცია მეზობელთა თრევისა?! მთელი ჟურნალი „კავკასია", რუსული თუ ქართული, მთლად ერთიანად მართლა „პროვოკაცია", გამოწვევა იყო ქართველთა, ხანგრძლივი, შეუჩერებელი, და მე გავაფრთხილე „კავკაზის" ქართველნი თანამშრომელნი; პროვოკაციამ თავისი ნაყოფი გამოიღო, შეიძლება ჩემთვის გაცილებით უფრო სამწუხარო, ვიდრე შ. ამირეჯიბისათვის, და ამიტომ მე ვარ მენშევიკების მომხრე და მათი შთაგონებით პროვოკატორულ წერილთა ავტორი, „კავკასიელთა" დახოცვის მქადაგებელი ტერრორისტი?! მართლაც: „ზაბაშ კაცი, ზაბაშ სიტყვა, ზაბაშ საქმე მისგან ქმნილი!" — რისთვის სჭირდება ემუხვარს ჩემი მონათლვა მენშევიკების მიერ ბოლშევიკების აგენტად, ესეც ვიცი. მე ასეთი ნათლია მენშევიკთა შორის არ მეგულება, ხელს ვერ დავადებ, ხოლო იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ერთი ბოლშევიკის საშუალებით ემუხვარის მსგავსთ ქართველთ, მისთ მსგავსთ თავითა და გულითა და მისებრ ვერ შემგნებთ თვისი ღირსებისა, ჩემი ყოველგვარი ვნება მოინდომეს სადღაც. შემდეგ იგივე კვლავ განმეორდა ბ-ნი შალვა ამირეჯიბის რეცეპტით — ემიგრანტთაგან ყველამ არ უნდა სწეროსო... განსაკუთრებით მიხ. წერეთელმა განსაზღვრულ საგანზეო.... აქ ჩემი პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, ასეთ საზიზღრობაზედ საპასუხოდ გამოჭრილი ფრანგული სიტყვა: canaille!

დასასრულ „კავკაზის" „წრისათვის" ვიტყვი, რომლის ქებით ყურები გამოგვიჭედეს და რომლისაც თითქოს რაღაც შურდეს ვიღაცას. მე ჩრდილო კავკასიელთა და სხვ. წრეს ვერ ვიცნობ, ხოლო „კავკაზის" ქართული წრის თუ ვისმე რამე შურს, ალბათ ქოთნის ტლაკვა, თვარა რომელ ნამდვილ ქართველს შეშურდება მისი კეთილშობილი იდეით განმსჭვალვა ან საქმიანობა. და მაშინ ლა ნახეთ ეს წრე, მის წევრთა სიმტკიცე იდეითა და საქმითა, თუ ერთ დღეს ეს ქოთანი აღარ ედგმისთ წინ. ვიღაცასაგან განსაზღვრული მიზნით შეკრებილნი, რომელთაც არც იდეა აერთებს და არც პირადი განწყობილება, რომელნიც წლობის განმავლობაში ყველაფერს მიედ-მოედებიან, ხოლო კავკასიაზედ და მის ერთა „კონფედერაციაზედ" იშვიათად და უმთავრესად უმნიშვნელოს სწერენ, ერთხელ დაშლილნი დაიბნევიან ისე, რომ აროაოდეს შეხვდებიან ურთ-ერთს. იდეით შეკავშირებულნი დიაღაც არ დასცილდებიან ურთ-ერთს; ათასჯერაც საშუალება საქმის კეთებისა რომ გამოელიოსთ, კვლავ შეუდგებიან ამ საშუალების შოვნას შრომითა და ოფლითა. ხოლო „კავკასიელნი" ამაზედ არც იფიქრებენ, თუ საშუალება გაუქრათ. ამისი მოწმეც შეიძლება მალე გავხდეთ. შეიძლება ესეც ჩვენ დაგვაბრალონ... და აქ არის პასუხი ბ. ამირეჯიბის ნათქვამზედ: „ერთმანეთსა რითა ვგვანდითო?" — არაფრით, სრულიად არაფრით, და არც ვემგვანებით აროდეს!

**მ. წერეთელი**

---

თეთრი გიორგი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ბელგიაში გარდაიცვალა ქალბატონი ნინო ჯაყელისა.

---

**ნიკო ნაკაშიძე** ოჯახობით უგულითადეს მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც პირადათ თუ წერილობით, თავის თანაგრძნობა განუცხადეს მას და გაიზიარეს მისი მწუხარება **საყვარელ დედის** გარდაცვალების გამო.

---

**რედაქციის მისამართი: თეთრი გიორგი,**

5, *Rue Catulle, Mendès, Paris*, (17e)

La gérante : Mme V-ve Posteaux.

IMPRIMERIE DE NAVARRE — 11, rue, Cordelières. Paris — XIII.